# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 23 დეკემბერი 2004 №298 (2319) ფასი 50 თეთრი



## საომარი იყო: ლე-ლო!

### საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს

ქართული სარაგბო სეზონი ერთი ყოჩაღი გუნდის ტრიუმფით დასრულდა. თბილისური „ლელო“ თავისი ახალგაზრდული ჟინითა და ამბიციით ადრეც იპყრობდა ყურადღებას, გუშინ კი ეროვნულ სტადიონზე საჩემპიონო თასი ჩაიხუტა.

ლევან მაისაშვილის გუნდმა 30:28 მოუგო მასზე არანაკლებ ყოჩაღად მობურთალ „აკადემიას“, რომელიც, გულქვა უნდა ყოფილიყავი, ალალად არ შეგცოდებოდა... მაგარი ფინალი იყო — დაძაბულობა, ბრძოლა, სილაღე, ჯიქური თუ კომბინაციური ლელოები...

## ქართულმა ჭადრაკმა ფიგურა დაიბრუნა



ქართულ ჭადრაკს ძველი შეფი დაუბრუნდა. ზვიად გამსახურდიას დროინდელმა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გურამ აბსანძემ გუშინ არჩევნებში აჯობა მთავარ კონკურენტს, ასევე ექსპრეზიდენტ ნინო გურიელს და ძველი თანამდებობა ზუსტად ცამეტი წლის შემდეგ განსაკუთრებული დავა-კამათისა და აჟიოტაჟის გარეშე დაიბრუნა.





## საკის ლოყები დაეღლება

### ამდენ ჩამქრალ ვარსკვლავს რა შეუზერავს

„რეალის“ ფეხბურთის დირექტორად გუშინწინ დანიშნული არიგო საკი გუშინ მადრიდში ჩავიდა და უმალ „სანტიაგო ბერნაბეუს“ მიაშურა. მრავალისმნახველმა იტალიელმა იქ თავისი სადირექტორო ვარსკვლავთგუნდის უხერხემლო, უნიათო თამაში იხილა. „რეალმა“ პირწმინდად წააგო 0:1 „სევილიასთან“ და შობა-ახალ წელს მეხუთე ადგილით და ლიდერ „ბარსელონასთან“ 13-ქულიანი ჩამორჩენით ეგებება.

დღეიდან 9 იანვრამდე ესპანური პრიმერა არდადეგებზეა და არიგო საკის საკმაო დრო ექნება ჩამქრალი ვარსკვლავების გასაღვივებლად და მარიანო გარსია რემონის დასამოძლვრად.

# ბენდელას თასი 2004

## თბილისი. სპორტის სასახლე. 21-27 დეკემბერი

# იმედი კაი ძალაა

**A ჯგუფი**

**შსს 2:1 საბურთალო**

0:1 ლიპარტია, 1:1 ახალაძე, 2:1 ნოზაძე

**იმედი 3:2 ზოოვეტი**

1:0 მეფარიძე, 2:0 ბოსტაშვილი, 2:1 გ. მიქაძე, 2:2 ბურდული, 3:2 მეფარიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| ზოოვეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 8:6 | 3 |
| შსს | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| საბურთალო | 2 | 0 | 0 | 2 | 4:8 | 0 |

**B ჯგუფი**

**კახეთი 4:5 დინამო**

0:1 ჯიბლაძე, 1:1 ბ. ბურნაძე, 1:2 კუსრაშვილი, 1:3 თომაშვილი, 1:4 მერებაშვილი, 1:5 კევლიშვილი (ს.კ.), 2:5 ტარულაშვილი, 3:5 კაშია (ს.კ.), 4:5 დავითაშვილი

**მაქსიმუმი 4:2 ევროპეისი**

1:0 მემარნიშვილი, 2:0 მანჩხავა, 2:1 ლვინჯილია, 3:1 კოშკაძე, 4:1 ბურლიაშვილი, 4:2 გ. დათუნაიშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 9:5 | 6 |
| მაქსიმუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:7 | 0 |
| ევროპეისი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |

**C ჯგუფი**

**უნივერსიტეტი 3:1 იბერია**

1:0 ფიფია, 2:0 დ. ოდიკაძე, 3:0 ჯიქია, 3:1 ბობოხიძე

**ლოკო 0:4 ცენტრპოინტი**

0:1 ჯანელიძე, 0:2 ლაბაძე, 0:3 ელოშვილი, 0:4 მეტრეველი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 7:4 | 3 |
| უნივერსიტეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ცენტრპოინტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:6 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |

„ბენდელას თასის" მეორე ტურმა თავისი წილი სენსაცია გამოაცხო. გიორგი მიქაძით, ლაშა ჯაკობიათი და ლადო ბურდულით თავმომწონე „ზოოვეტმა" „იმედს" ვერაფერი მოუხერხა. „იმედის" სული და გული „მინის დიდოსტატი" დავით სოლოლაშვილი იყო, რომელმაც გუშინაც „დახაზა" სპორტის სასახლის დარბაზი. „იმედი" 2:0-ს იგებდა, მაგრამ ერთ წუთში ჯერ მიქაძემ, მერე კი ბურდულმა შორეული დარტყმით გაათანაბრეს ანგარიში. ისე ჩანდა, ზოოვეტელებს უნდა მოეგოთ, თუმც მეფარიძემ ბოლო წუთებში გამარჯვებისა დაჰკრა და დუბლიც მიითვალა.

ამავე ჯგუფში შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა „საბურთალოს" აჯობა. „პოლიციელთა" შორის გამორჩეულები იყვნენ ირანის ჩემპიონატში მოთამაშე კახა ახალაძე და „ვიტ ჯორჯიას" ყოფილი კაპიტანი ლაშა ნოზაძე, გოლებიც მათ შეაგდეს და ალალად მოაგებინეს თავისიანებს, რაც ერთ-ერთ საბურთალოელ ფეხბურთელს არ მოეწონა და ნამატჩევს მსაჯს გაექაჩა. კეთილი, დიდად სასკანდალო იქ არაფერი მომხდარა, მაგრამ ისე, სასხვათაშორისოდ მაინც ვიტყვით — ეს ტურნირი აფხაზეთში დაღუპულის ხსოვნას ეძღვნება და პირველ რიგში კორექტულობაა დასაცავი...

B ჯგუფში „მაქსიმუმმა" „ევროპეისს" მოუგო და 6 ქულით უკვე მეოთხედფინალშია, „მაქსიმუმს" მხოლოდ მეორე ტაიმის საწყის წუთებში გაუჭირდა, თუმც ალეკო კოშკაძის გოლმა 3:1 აციმციმა ტაბლოზე და დარჩენილ დროში გუნდებმა თითო-თითო ლამაზი გოლიღა გაცვალეს.

დღის მთავარ ჯახში „უნივერსიტეტმა" მასზე არანაკლებ ღონიერი „იბერია" დაამარცხა. მოგებულთაგან გოლები „თბილისის" ფეხბურთელებმა — გოჩა ფიფიამ, დავით ოდიკაძემ და შოთა ჯიქიამ შეაგდეს, ფუტზალის მოთამაშეებით დაკომპლექტებული „იბერიადან" კი არაფუტზალელმა მიხეილ ბობოხიძემ გაიტანა.

პირველი ტურის მთავარი სენსაციის შემოქმედი „ლოკომოტივი" გუშინ სენსაციურადვე დამარცხდა „ცენტრპოინტთან". 0:4 ახალგაზრდა რკინიგზელებისთვის აშკარად სიურპრიზი გამოდგა და თან ისეთი, რომ ნერვები ველარ მოთოკეს და უაზრო ჩხუბიც წამოიწყეს. შედეგად მსაჯმა ერთი ლოკომოტიველი მიაბრძანა მოედნიდან.

„ცენტრპოინტმა" კი სწორედ ამ მოგებით გაიჩინა მეოთხედფინალში გასვლის შანსი და ეჭვი არაა, გადამწყვეტ ტურში მონდომებით ითამაშებს.

გუშინდელი დღის ბოლო მატჩი კი გაცილებით დაძაბული გამოდგა. თელავის „კახეთმა" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „დინამოს", თუმც ეს უფრო მეორე ტაიმის მეორე ნახევარზე ითქმის, როცა კახელებმა ერთბაშად სამი გოლი გაუტანეს მეტოქეს.

მანამდე კი „დინამო" მეფობდა — ხვიჩა ქასრაშვილის შეგირდებმა უამრავი მომენტი შექმნეს „კახეთის" კართან და 5:1 დაწინაურდნენ.

თელაველებმა სწორედ ამის შემდეგ მოინდომეს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. 5:4 — ასე მოიგო „დინამომ" და თანაჯგუფელ „მაქსიმუმთან" ერთად მეოთხედფინალი უკვე გაინაღდა.

**ილია ნანობაშვილი**
**ბახა შალამბერიძე**




**მესამე ტური. დღეს**

| | |
|---|---|
| 14.30 | დინამო — მაქსიმუმი |
| 15.30 | შსს — ზოოვეტი |
| 16.30 | ცენტრპოინტი — უნივერსიტეტი |
| 17.30 | საბურთალო — იმედი |
| 18.30 | ლოკომოტივი — იბერია |
| 19.30 | კახეთი — ევროპეისი |

**ბავშვთა ტურნირი**

A ჯგუფი: ომც (თბილისი) — თერჯოლა 0:1; მემორიალი (ქუთაისი) — ხობი 2:1

B ჯგუფი: ლიონი (გორი) — 35-ე სკოლა (თბილისი) 3:0; დინამო (ქუთაისი) — თბილისი 1:1

C ჯგუფი: განათლება (ბათუმი) — ზუგდიდი 0:1; საბურთალო (თბილისი) — ნორჩი დინამოელი (თბილისი) 1:4

D ჯგუფი: ლოკომოტივი 94 (თბილისი) — ავაზა (თბილისი) 1:0; ლუკა (ბათუმი) — ოლიმპი (თბილისი) 1:1

# რა არის ფუტზალი?

## დიდი ფეხბურთის საჯარიმო მოედანი

„ბენდელას თასის" გათამაშება გახურებული კია, მაგრამ მინი-ფეხბურთს უცხოეთში ახლა ნაკლებად თამაშობენ, რადგან ფიფა-უეფა ფუტზალზეა გადასული. საქართველოს ფუტზალის ფედერაციის პრეზიდენტი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი გრიგოლ ცაავა გახლავთ. მას გუშინ შევხვდით სპორტის სასახლეში „ბენდელას თასის" მატჩებზე და ინტერვიუც ჩამოვართვით...



— ფუტზალში საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ახლა რა ვითარებაა?

— მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატს ვატარებთ, რომელიც უფროსი მიხეილ მესხის ხსოვნას ეძღვნება. ჩემპიონატში შვიდი გუნდი მონაწილეობს: „იბერია", „სარანგი", „აკადემია", „გურია", „დილა", „აჭარა" და „იმედი". მატჩები „ქარიშხალას" დარბაზში ტარდება და პირველი წრე უკვე მიილია, მეორე კი 25 იანვრიდან დაიწყება.

— მინი-ფეხბურთი და ფუტზალი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან...

— ფუტზალში ხუთი-ხუთზე თამაშობენ უფრო მცირე დიამეტრის ბურთით — მთავარი განსხვავება ეს არის. ფიფაც და უეფაც ფუტზალის ტურნირებს ატარებენ.

— საქართველოს ნაკრები სისტემატურად მონაწილეობს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში — ვინ გაფინანსებთ?

— მგზავრობის და ცხოვრების ფულს ფიფა და უეფა გვაძლევენ, სხვა დაფინანსება ჩვენ არ გვაქვს. შესარჩევ ტურნირებზე წარმატებით ვერ გამოვდივართ, რადგან ბევრი პრობლემა გვაბრკოლებს. პირველ ნაკრებს აკა ქავთარაძე წვრთნის, ახალგაზრდული ნაკრებიც გვყავს, რომლის ბირთვს „იმედის" ფეხბურთელები წარმოადგენენ.

— პირველ ნაკრებში ლეგიონერები არ გყავთ?

— რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი უცხოეთში მართლაც თამაშობს, მეტწილად რუსეთში, მაგრამ მათ ვერ ვიწვევთ — ბილეთის ფული, ანაზღაურება და კიდევ ის, რომ მათ კლუბები არ უშვებენ, თუ ნაკრებში წახვალთ, პრობლემები შეგექმნებათო.

— ფუტზალის მთავარ სპეციფიკურობად რას მიიჩნევთ?

— ის, რაც დიდ ფეხბურთში საჯარიმო მოედანში ხდება, დაახლოებით ეგაა ფუტზალი. მოძრაობა და ბურთის ფლობა ფუტზალში ძალიან მნიშვნელოვანია.

— ფიზიკური დატვირთვების მხრივ ფუტზალს და ფეხბურთს როგორ შეადარებდით?

— მაღალი რანგის მატჩები ისეთი ინტენსიურია, რომ ოთხეულები 3-4 წუთის შემდეგ იცვლება. ისე კი, მწვრთნელის განკარგულებაში თამაშზე თორმეტი ფეხბურთელია.

— ფუტზალის მოთამაშეს დიდ ფეხბურთში თამაშის შანსი არ აქვს?

— როგორ არა, მაგალითად, ბრაზილიაში ბევრი სწორედ ფუტზალიდან მიდის დიდ ფეხბურთში.

— საქართველოში ფუტზალის განვითარების მთავარ პირობად რას მიიჩნევთ?

— ეროვნულ ჩემპიონატში 10-12 კარგად დაკომპლექტებული გუნდი რომ გვყავდეს, დიდად წაადგება საქმეს. კარგი იქნება, თუ საქართველოს ჩემპიონატის ის ფეხბურთელები, რომლებიც ძირითადში ვერ მკვიდრდებიან, ფუტზალში გადმოვლენ. ისიცაა, რომ ფუტზალის მსაჯობა საქართველოში 2-3 არბიტრს თუ შეუძლია. ფუტზალს ორი მსაჯი ემსახურება, ორი 20-20 წუთიანი ტაიმია და პაუზებისას დრო ჩერდება. ფუტზალს ხალიჩაზე არ თამაშობენ, მხოლოდ ხის იატაკზე.

— საქართველოში ფუტზალის გუნდი რომ შექმნა, ამას რა ფინანსური ხეირის მოტანა შეუძლია?

— ქვეყნის ჩემპიონი გუნდი უეფას ჩემპიონთა ლიგაზე გადის, რომლის შესარჩევ ეტაპზე ოთხგუნდა ჯგუფში ხვდება და თუ შესარჩევი ეტაპი დაძლია, ჩემპიონთა ლიგიდან საკმაოდ კარგი შემოსავალი ექნება, თუმც შესარჩევი ჯგუფიდან გასვლა ძალიან ძნელია.

— ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპები რა პერიოდულობით ტარდება?

— ორ წელიწადში ერთხელ და ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა.

**დავით თავართქილაძე**

### ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი**
**XVII ტური**

ვალენსია 3:0 ესპანიოლი
ბილბაო 4:0 მალიორკა
ოსასუნა 2:0 ნუმანსია
ხეტაფე 2:0 რასინგი
რეალი 0:1 სევილია
მალაგა 1:5 სოსიედადი
ალბასეტე 2:2 ვილიარეალი
დეპორტივო 2:3 სარაგოსა

**სეგუნდადივიზიონი**
**XIX ტური**

კორდობა 1:2 ალავესი
სიუდად მურსია 0:0 კადისი
ტერასა 1:4 სელტა
ელჩე 3:1 პოლი ეხიდო
ალმერია 1:1 ხიმნასტიკი
ტენერიფე 1:1 მალაგა B
ხერესი 0:1 მურსია
ვალიადოლიდი 3:2 სალამანკა
ლეიდა 0:2 სპორტინგი

### საფრანგეთი

**ლიგის თასის 1/8 ფინალი**

სოშო 0:0(პენ.3:4) *კაენი*
ოსერი 2:1 ნანტი

### თურქეთი

**თასის 1/16 ფინალი**

ადიამანი 2:4 *გაზიანთეფი*
*ბურსა* 3:1 ისთანბული
*დიარბაქირი* 4:2დ.დ.(2:2) მერსინი
გაზიანთეფი B 2:3 *გალათია*
გიოზთეფე 0:1 *ბეშიქთაში*
ქარაბუმრუქი 0:3 *სამსუნი*
*ქაისერი* 2:1 ვენჩლერი
*ქონია* 4:0 ალთაი
*მარდინი* 4:1 სარიერი
*რიზე* 1:0 ქოჯაელი
უსაქი 2:6 *ფენერბაჰჩე*
ანკარა 1:2დ.დ.(1:1) *დენიზლი*
ანთალია 1:5 *ტრაბზონი*
*გალათასარაი* 3:0 ქარდემირი

### პორტუგალია

**სუპერლიგა**
**გადადებული მატჩი**

მარიტიმუ 1:1 პორტუ

**თასის 1/16 ფინალი**

*ოსპიტალი* 2:1 მორეირენსე

### ბელგია

**სუპერთასი. ფინალი**

ანდერლეხტი 0:2 ბრიუგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გინდა ფეხბურთი? გაყიდე ნაყინი



ვაჟაშ ფოლადაშვილის ფოტო

*გია ფირცხალავა ადრე ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი იყო, მერე თბილისის „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი, „ლოკომოტივის“ ლიცენზირების მენეჯერი და ახლაც ფრიად სერიოზულ საქმეს ეშურება — შესაძლოა, მან ბრაზილიური პროფესიული კლუბი ჩაიბაროს. ფირცხალავა ბრაზილიაში, პარანას შტატში შარშანაც იყო და ამ ქვეყანას ახლახანაც სტუმრობდა, ის ბრაზილიის ვიცე-ჩემპიონ „ატლეტიკო პარანენსეს“ პრეზიდენტმა ერთი თვით მიიწვია...*

## ბრაზილია ფეხბურთელს ჩინეთში ეძებს



— შარშან კურიტიბაში ვიყავი და იქ გავიცანი „ატლეტიკო პარანენსეს“ პრეზიდენტი ანტონიო გომესი, ახალგაზრდა კაცი. წლეულს სწორედ მან მიმიწვია. „ატლეტიკო“ დღესდღეობით ბრაზილიაში ერთ-ერთი გამორჩეული კლუბია, გომესის ხელმძღვანელობით გუნდი ჩემპიონიც გახდა და ამ სეზონში პირველობამდე სამი ქულა დააკლდა. ამიტომაც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ამ კლუბის სტრუქტურული მოწყობა, მართვის მეთოდიკა. რა გააკეთა გომესმა ისეთი, რომ ერთი ჩვეულებრივი კლუბი ახლა ბრაზილიურ გრანდად ითვლება. ჩემი გამოცდილებისთვის „ატლეტიკოსთან“ ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია.

**— რაღა ბრაზილიას მიადექით, ევროპაში ცოტაა ასეთი კლუბი?**

— საქმე ისაა, რომ ბრაზილიაში პროფესიული კლუბის ჩამოყალიბების ვარიანტია. ჩემი იქაური პარტნიორები სერიოზულად ფიქრობენ პროფესიული კლუბის გაკეთებაზე და თანამშრომლობა შემომთავაზეს. „ატლეტიკო პარანენსეც“ ამიტომ იყო საინტერესო, უფრო ღრმად ჩავიხედე ბრაზილიურ ფეხბურთში.

**— თანამშრომლობაში რას გულისხმობთ?**

— თუ გუნდი შეიქმნება, შესაძლოა, მმართველად დავინიშნო.

**— სერიოზული გეგმაა...**

— ვნახოთ... ჯერ მოლაპარაკებების სტადიაში ვართ. მართლაც სერიოზული საქმის პერსპექტივა ჩანს.

**— თქვენი პარტნიორი „ატლეტიკო პარანენსეა“?**

— არა, ამ კლუბს მხოლოდ საქმის უკეთ შესასწავლად ვსტუმრობდი. პარტნიორები კი კურიტიბას უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის გამგის ნეი მაკინგისა და ამავე უნივერსიტეტის ლექტორის გოჩა ალადაშვილის მეგობრები არიან. ახალი კლუბის ჩამოყალიბების იდეაც მათი იყო.

**— ეს საქმე თუ გამოვიდა, ქართულ ფეხბურთს რამე ხეირი ექნება?**

— რა თქმა უნდა. ზუსტად ჯერ ვერ გეტყვით, ქართულ კლუბებთან რა ფორმით ვითანამშრომლებთ, მაგრამ ასე რომ იქნება, დარწმუნებული ვარ.

**— რომელიმე კონკრეტულ კლუბთან აპირებთ თანამშრომლობას?**

— დიახ, ეს ალბათ თბილისის „ლოკომოტივი“ იქნება.

**— სხვათა შორის, „ლოკომოტივის“ სელექციონერი ჯემალ ჩიმაკაძეც ახლახან იყო ბრაზილიაში...**

— ერთად ვიყავით. მას იქ თავისი საქმე ჰქონდა. „ლოკომოტივისთვის“ ახალგაზრდა ბრაზილიელი ფეხბურთელები უნდა შეერჩია.

**— შეარჩია?**

— რამდენიმე ფეხბურთელი კი ჩაინიშნა, მაგრამ სჯობს, ეს თავად ჩიმაკაძეს ჰკითხოთ.

**— ბრაზილიელები თქვენ საიდან დაგიკავშირდნენ?**

— გოჩა ალადაშვილი ჩემი მეგობარია და მისგან გავიცანით ერთმანეთი.

**— ბრაზილიაში თქვენი წასვლის შემდეგ ითქვა, ფირცხალავა მწვრთნელობას აპირებსო. მართალია?**

— არა, მწვრთნელობაზე არც მიფიქრია. ჩემი საქმე კლუბის მართვაა. წარმატებულ კლუბებზე ვაგროვებ ყველანაირ მასალას, მაინტერესებს, საქმე როდის როგორ დაიწყო, კლუბის სტრუქტურული განვითარება... მოკლედ, ყველაფერი, რაც საკლუბო საქმიანობას ეხება. ბრაზილიაში, მაგალითად, კლუბი თუ სტრუქტურულად გამართულია, არ არსებობს, საქმე არ აგეწყოს და ნორმალური გუნდი ვერ ჩამოაყალიბო. სხვა ყველანაირი პირობა ბრაზილიაში ბუნებრივადაა. თან ამ ბოლო დროს ბრაზილიაში კლუბები სწრაფად ვითარდებიან. საოცარი პროგრესია. „ატლეტიკო პარანენსე“, როგორც გითხარით, ადრე დიდს არაფერს წარმოადგენდა, ახლა კი 12 მოედანი მხოლოდ საწვრთნელ ბაზაზე აქვს, იქვე უკვე დაამთავრეს ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა, ყველა ასაკში ჰყავთ ბავშვთა გუნდი და, როგორც გომესმა თავად მითხრა, ახლა ჩინეთში აპირებენ საფეხბურთო სკოლის გაკეთებას.

**— ბრაზილიელს ჩინეთში რაღა ესაქმება?**

— წარმოიდგინეთ და, ესაქმება. იქაც ბევრი ნიჭიერი ბავშვიაო, ამბობენ.

**— საქართველოში არ აპირებენ სკოლის გახსნას?**

— სხვათა შორის, ამაზეც იყო ლაპარაკი. არაა გამორიცხული, ბრაზილიელები უახლოეს მომავალში ჩამოვიდნენ კიდეც.

**— ბრაზილიური და ქართული საფეხბურთო ნიჭი ძალიან განსხვავებულია?**

— ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ იქ უფრო ბევრია ნიჭიერი, ვიდრე აქ. ბრაზილია ასი საქართველოს ტოლაა და იმიტომ. ბრაზილიაში არჩევანი მეტია და, სხვათა შორის, ბრაზილიურ ფეხბურთში ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ ბავშვთა ფეხბურთს ექცევა. როგორც ჩვენთან, იქაც ყველა ფეხბურთს თამაშობს. თუმც რაოდენობა შეუდარებლად უფრო მეტია. უამრავი ტალანტია. ერთ მაგალითს გეტყვით: ახლა „ატლეტიკო პარანენსეს“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ის ბიჭია, რომელიც ორი-სამი წლის წინ კლუბის სელექციონერმა ქუჩაში იპოვა, ხელი მოჰკიდა და კლუბში მიიყვანა. საინტერესო კი ისაა, რომ ეს ბიჭი ნაყინის გამყიდველი იყო, ქუჩაში სელექციონერმა ბურთის კუნწვლის დროს შენიშნა. 21 წლის ამომავალი ბრაზილიელი ვარსკვლავი დაგობერტოც ასე, ეზოში თამაშისას აღმოაჩინა სელექციონერმა, მას კი ახლა იტალიური „ინტერი“ ეპატიჟება.

**— თუ გაკეთებაა, იმ ახალ კლუბს როდის გააკეთებთ?**

— ზაფხულისთვის უკვე პარანას შტატის ჩემპიონატში შეგვეძლება მონაწილეობა.

**— და თქვენ როდის წახვალთ?**

— თუ საქმე გამოვიდა, ზაფხულისთვის იქ ვიქნები.

**ქოგა ინასარიძე**

# ლაშა ჭელიძეს იღბალი საქართველოში დარჩა

ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი მცველი ლაშა ჭელიძე უკრაინიდან დაბრუნდა. ჭელიძე სეზონის წინ ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ გადავიდა, მაგრამ ეს ტრანსფერი ხანმოკლე გამოდგა — ლაშამ უკრაინელებთან ურთიერთობა გაწყვიტა.

არადა, თავიდან ზაპოროჟიელები ჩვენებურზე საკმაო იმედებს ამყარებდნენ, კონტრაქტიც მალევე გაუფორმეს და ძირითად შემადგენლობაში ადგილიც არ უნდა ყოფილიყო სახათაბალო. ეგ არის, ჭელიძეს იღბალმა უმტყუნა — სადებიუტო მატჩშივე მძიმედ დაშავდა — ტვინის შერყევა მიიღო და კარგა ხნით ჩამოშორდა მოედანს. გამოჯანმრთელებულ ჭელიძეს კი ოდენ სარეზერვო გუნდი შერჩა ხელთ. ძირითადის კარი დაიკეტა.

ჰოდა, ლაშამაც წამოსვლა არჩია და ჯერჯერობით უგუნდოდაა. არაა გამორიცხული, ჭელიძე ისევ „ტორპედოში“ დაბრუნდეს, თუმც ეს ამბავი ნაახალწლევს უფრო გაირკვევა.

„მეტალურგზე“ კი იმასაც გეტყვით, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა ირაკლი მოდებაძემ ზაპოროჟიელებთან კონტრაქტი გააგრძელა და მომავალ სეზონსაც ამ გუნდში გაატარებს.

**ლუკა თალაკვაძე**



# ქართველებს მილანი დაუნიშნეს ირანში ქარხნული დერბიც მოსულა

„საბა ბათერი“, სადაც სამი ქართველი თამაშობს, ირანში ყველაზე მდიდარი გუნდია, მაგრამ სპარსულ ჩემპიონატში ჯერჯერობით წარუმატებლად თამაშობს — თექვსმეტგუნდა ლიგაში მე-13 ადგილზეა, ჰოდა, გუნდს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — ხორვატი მილან ზივადინოვიჩი.

ახალი დამრიგებლის ხელში „საბამ“ პირველი მატჩი უკვე ითამაშა, შინ „ბარგს“ 4:4 დაუზავდა. საბაელთაგან ორი გოლი ალი დაეიმ გაიტანა და ორივე არჩილ სახვაძის პასით. „საბა“ 4:1-ს იგებდა, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა მცველმა ორი ავტოგოლი გაიტანა და...

ამ შეხვედრაში არ უთამაშია მამუკა წერეთელს, მას საზარდული აწუხებს. „საბას“ კარს სერგო ჭურაძე კი იცავდა, მაგრამ მხრის ტრავმა მიიღო და მომდევნო შეხვედრაში ვერ ითამაშებს — ხვალ „საბა“ ასევე თეირანის „ფეიქანს“ ხვდება.

„ფეიქანი“ საავტომობილო ქარხნის გუნდია, „საბა“ კი აკუმულატორების მწარმოებლის — ქარხნული დერბი მაგარი შეხლა იქნებაო, გვითხრა სახვაძემ, ვინც ამ მატჩში ერთადერთი ქართველი იქნება.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი ღერი ბალახის ამბავი

## დიმიტრი რამიშვილი თამაშობს თავდასხმას:

## დაცვა ფეხბურთი არ არის




*საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ერთი წლის წინ კი შეიქმნა, მაგრამ დამოუკიდებლად მუშაობა წლევანდ-ელ ზაფხულს დაიწყო და აგერ, უკვე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპიც მოილია.*

*რას ველოდით და რა მივიღეთ? რა იყო კარგი, რა ცუდი? რატომ არის, რომ უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბი ჯერჯერობით მაინც ვერ აკმაყოფილებს პროფლიგის მოთხოვნებს? რატომ თამაშობენ ფინანსურად გაჭირვებული გუნდები დღესდღეობით უმაღლესში, როცა იმავე მიზეზით ჩემპიონატის დაწყებამდე პროფლიგამ „რუსთავი" მოკვეთა? პროფლიგის სპონსორების საკითხი, უხარისხო მოედნები... აი, ამ და სხვა თემებზე ვესაუბრეთ პროფლიგის პრეზიდენტ ДИМИТРИ* 

— მთლად უკმაყოფილოც არ ვარ, ჩემპიონატის პირველ ეტაპს დამაკმაყოფილებლად შევაფასებდი. ჩემპიონატში იმატა დაძაბულმა, საინტერესო მატჩებმა. სატურნირო ცხრილში დიდი ინტრიგაა, ორგანიზაციული მხარეც ნორმალურ დონეზეა. აშკარად გამოსწორდა მსაჯობა, უმაღლესი, პირველი თუ ბავშვთა ლიგების გათამაშება უექსცესებოდ ჩატარდა... თუმც კმაყოფილი მაშინ ვიქნები, როცა ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელთა რაოდენობა გაიზრდება, სტადიონები მოწესრიგდება და შოტლანდიის, შვეიცარიის ან სხვა პატარა ქვეყნების დონეს მაინც მივაღწევთ... მაგრამ მერე მეტის სურვილიც გვექნება. ეს ნორმალური მოვლენაა, ფეხბურთი ხომ დღითიდღე ვითარდება — გვითხრა დიმიტრი რამიშვილმა და ინტერვიუც დავიწყეთ

**— ამ, სანახევროდ მოლეული ჩემპიონატისგან ის მიიღეთ, რაც სეზონის წინ გქონდათ ჩაფიქრებული?**

— რეალურად ასეა, რასაც ამ ეტაპზე ველოდით, ის მივიღეთ. როგორც ქვეყანაში, ისე ფეხბურთში ახლა გარდამავალი პერიოდია. თითქმის ყველა გუნდში შეიცვალა ხელმძღვანელობა, შეიცვალა მენეჯმენტი... შედარებით სტაბილურად ისევ თბილისის გუნდები არიან. აი, რეგიონებში კი ისევ გაურკვეველი ვითარებაა.

**— პრობლემების გამოსწორებას როდისთვის ელით? გამოსავალი რა არის?**

— კლუბი რომ ფინანსურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ეს, ვფიქრობ, სალაპარაკოც არ არის. პრობლემა მენეჯმენტია, თბილისის ზოგიერთ გუნდს თუ არ ჩავთვლით, კლუბებში არ იციან სწორად მუშაობა, კლუბის სწორად მართვა. ხელმძღვანელობაში ბევრი გამოუცდელია, ფეხბურთში ბოლომდე ჩახედულნი არ არიან და, შესაბამისად, მეტია უნდობლობა, ეჭვი... რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ვერც მწვრთნელები არიან სათანადოდ მომზადებულნი. ფეხბურთი უკვე მხოლოდ სპორტის სახეობა არ არის, ფეხბურთი თავისებური შოუც არის, რომელმაც მაყურებელი უნდა მიიზიდოს და 90 წუთის მერე კმაყოფილი გაუშვას. მაგალითად, წმინდა სპორტულ-სანახაობრივ თვალსაზრისით, დაცვითი ფეხბურთი ფეხბურთი არ არის, სანახაობა აკლია და იმიტომ.

**— ესე იგი, „ზესტაფონის" ფეხბურთი არ მოგწონთ?**

— რატომ?

**— დაცვით ფეხბურთს თამაშობსო, ამბობენ...**

— ეგ მწვრთნელმა უკეთ იცის, როგორი კონტინგენტიც ჰყავს, ისეთ ფეხბურთს თამაშობს. ისე კი, თავის დროზე კუპერის გაწვრთნილი „ვალენსია" ესპანეთის ჩემპიონატის პრიზიორი როცა იყო, მწვრთნელი მაშინ დაითხოვეს, რადგანაც ქომაგს არ მოსწონდა „ვალენსიას" ფეხბურთი. ფეხბურთი კი, პირველ ყოვლისა, ქომაგისთვისაა და სტადიონზე მის მისაყვანად ყველაფერი უნდა გააკეთო. თამაშით დაწყებული, ორგანიზაციული დეტალებით დამთავრებული.

**— თამაში თამაშად და, მოდით, ორგანიზაციულ მხარეზე ვთქვათ. მატჩის ორგანიზების ნაწილი ხომ აფიშების ბეჭდვაც არის, ქომაგმა უნდა იცოდეს, როდის რა მატჩია...**

— გეთანხმებით, ჩემპიონატს პოპულარიზაცია აკლია და ამ საკითხზე კლუბებთან ყოველი შეხვედრისას ვსაუბრობთ ხოლმე. პროფლიგა პიარის ყველა საშუალებას მაქსიმალურად იყენებს. თუნდაც ის, რომ ჩვენ ავაწყვეთ ურთიერთობა მასმედიასთან, ჩემპიონატის მატჩებს ტელევიზიით დიდი დრო ეთმობა, პროფლიგის სწორ მიმართულებაზე მიუთითებს. ხოლო კლუბს მატჩის აფიშას პროფლიგა ვერ დაუბეჭდავს და ქალაქში ვერ გაუვრცელებს, საამისოდ კლუბში სპეციალური სამსახური უნდა იყოს.

**— სპონსორებზე რას იტყვით, რატომ აღარ ისურვეს პროფლიგასთან თანამშრომლობა „სნიკერსმა" და „ნიკორამ"?**

— პროფლიგას დღეს შეუძლია მათ ნაცვლად სხვა და უფრო მეტი სპონსორის მოზიდვა, მაგრამ ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ის რაოდენობაც საკმარისია, რამდენიც ახლა გვყავს. ყველაფერს თავის დრო აქვს და ნელ-ნელა სპონსორების რიცხვიც გაიზრდება. ყოველ შემთხვევაში კი სათქმელია, რომ პროფლიგის ბიუჯეტი არ შემცირებულა, პირიქით, აგერ ფაქტი, სპონსორის დახმარებით ჩვენ კომპიუტერული თამაშიც კი გავაკეთეთ. პროექტები კიდევ ბევრი გვაქვს, მაგრამ, როგორც გითხარით, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ერთბაშად არაფერი გამოგივა.

**— კი, მაგრამ, მეტი სპონსორი ხომ უკეთეს ფინანსურ მდგომარეობას ნიშნავს. თუ გაქვთ სპონსორების მოზიდვის საშუალება, რატომ ერიდებით?**

— არ ვერიდებით, უბრალოდ, ვთვლით, რომ პროფლიგის ბიუჯეტი ამ ეტაპისთვის საკმარისად მზარდია და აუცილებელი არ არის, ახალ პარტნიორებთან ურთიერთობა ახლავე გავაფორმოთ. შესაძლოა, სპონსორების რაოდენობა შემცირდეს, მაგრამ ბიუჯეტი გაიზარდოს. სადღეისოდ, პროფლიგის ყველა სპონსორმა ჩვენი დაფინანსება ერთი ორად გაზარდა და აშკარაა, რომ ისინი ჩვენთან ურთიერთობით დაინტერესებულნი არიან. გარდა ამისა, თავიანთი სპონსორები უკვე კლუბებსაც ჰყავთ.

**— უახლოეს მომავალში პროფლიგისგან რას ველოდოთ, რა გაკეთდება სტადიონებზე მაყურებელთა მოსაზიდად, ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის?**

— იდეები, იცოცხლეთ, ახლაც ბევრი გვაქვს, მაგრამ ერთბაშად ამას ვერ განვახორციელებთ. გავაკეთეთ კომპიუტერული თამაში „ჩემი ფეხბურთი", ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან კი ერთგვარი ლატარიის გათამაშება გვსურს. ეს პროექტი ჯერ კიდევ დასახვეწია და ზუსტად ვერ გეტყვით, რა როგორ იქნება, თუმც, ვფიქრობ, ეს აქცია ქომაგს დააინტერესებს და სტადიონებზე ხალხიც იმატებს.

**— სტადიონების საკითხსაც მივადექით. ჩემპიონატის დაწყების წინ ფინანსურთან ერთად „რუსთავის" უმაღლესიდან მოკვეთის ერთ-ერთი მიზეზი სტადიონიც იყო. თუმც ახლა ფინანსური პრობლემა შეექმნა, მაგალითად, „ბათუმსაც", ამ კლუბს კი, ვფიქრობ, რუსთავის სარბიელზე უკეთესი მოედანი არ აქვს. მაშ რატომ დასაჯეთ „რუსთავი"?**

— გააჩნია, უკეთესი სტადიონი თქვენთვის რა არის. ის, რომ მეტი დასაჯდომი ადგილია და დიდი ტრიბუნაა?

— თუნდაც ეს და ინფრასტრუქტურაც. ბათუმის სტადიონის ერთ მხარეს საკონცერტო სცენაა და არც შიდა სათავსოებია რუსთავისაზე უკეთესი.

— სამაგიეროდ, როცა კომისიამ რუსთავის მოედანი შეამოწმა, მასზე ერთი ღერი ბალახიც კი ვერ ნახა. გარდა ამისა, „რუსთავს", 300 ათას ლარიან გარანტიაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდის საშუალებაც არ ჰქონდა. ხოლო როცა კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მსურდა, რუსთავში ჩემი მასპინძელი მხოლოდ ქალაქის მერი იყო. „რუსთავს", ფაქტობრივად, პატრონი არ ჰყავდა და იქ დღესაც იგივე ვითარებაა. „ბათუმის" ფინანსური მდგომარეობა კი ცალკე საუბრის თემაა. მოკლედ კი გეტყვით, რომ ამ კლუბს უსაშველო პრობლემები არ აქვს.

**— მცხეთის და ზესტაფონის სტადიონები ავიღოთ. ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, რატომ არ არის ამ სტადიონებზე პროფლიგის სპონსორების სარეკლამო დაფები?**

— იმიტომ, რომ „ვიტ ჯორჯიასა" და „ზესტაფონს" ამ სტადიონებზე თამაშის ნებას თავიდან არ ვაძლევდით. ბოლო მომენტში დააკმაყოფილეს ამ კლუბებმა ჩვენი მოთხოვნები, მაგრამ სარეკლამო დაფების დამზადება ვეღარ მოასწრეს. ეს, რა თქმა უნდა, ხარვეზია, თუმც სპონსორებმა ამის თაობაზე იციან და პრეტენზია არ აქვთ. მეორე ეტაპიდან კი სარეკლამო დაფების საკითხი ყველგან მოგვარდება. ისე კი, ყველამ — კლუბის ხელმძღვანელმა, ფეხბურთელმა, პერსონალმა — თავისი ჩემპიონატი თავადვე უნდა დააფასოს და პროფლიგის მოთხოვნები უსიტყვოდ შეასრულოს. ისიცაა, რომ ჩვენი პრინციპულობა კლუბებისთვის სიახლეა და მოთხოვნათა შესასრულებლად ერთი და იგივეს რამდენჯერმე გამეორება სჭირდებათ. აბა, გაიხსენეთ, მატჩისშემდგომი პრესკონფერენციები ადრე საერთოდ არ ეწყობოდა, მერე ხანდახან, ახლა კი მწვრთნელს იმის შეხსენება აღარ სჭირდება, პრესკონფერენციაზე რომ უნდა მივიდეს. ასე, ნელ-ნელა სხვა საკითხებიც დაიხვეწება.

**— მართლაც მადლობლები ვართ, მატჩის წინ ოქმის მოწოდებისა და პრესკონფერენციების საკითხი რომ მოაგვარეთ, მაგრამ საკეთებელს, აბა, რა გამოლევს. ჩემპიონატი გაზაფხულზე განახლდება, პროფლიგა რას გვპირდება?**

— სხვადასხვა პრობლემატური საკითხების მოგვარებასა და სიურპრიზებს. გუნდები სტრუქტურულად უფრო დაიხვეწებიან, მთლიანად ჩემპიონატის სტრუქტურაც უფრო მოქნილი გახდება და მერე სალაპარაკოც მეტი გვექნება.

**კობა ინასარიძე**





ფრანჩესკო ტოტის მომავალი ფრანკო ბალდინის კაბინეტში გადაწყდება

# ის არ წავა!

## სენსის ქალიშვილმა ტოტი ბალდინის კაბინეტში დაპატიჟა

*გახსოვთ, ფრანჩესკო ტოტის ორიოდ დღის წინანდელი განცხადება, რომ თუ „რომა" სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლას არ განაახლებს გუნდიდან წავა? იმავე განცხადებას რომაელთა კაპიტანმა ქომაგების კრიტიკა და ყოფილი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ალალი ლანძღვაც მიაყოლა — ტოტიმ დაიჩივლა, რომ ტიფოზები მას ანგარებასა და პლეიბოიობაში სდებენ ბრალს, ხოლო კაპელო „რომას" „იუვენტუსში" უცბად კი არ გაექცა, დიდი ხნით ადრე დაგეგმა ეს ტრანსფერიცა და ძველი გუნდის დაშლის მზაკვრული გეგმაც. ასეთი იყო წინაისტორია, ახლა მისი გავრძელება ვთქვათ*

უპირველეს ყოვლისა ავღნიშნოთ, რომ იტალიის ნაკრების მწვრთნელი, მარჩელო ლიპი ბრძენი კაცია. მან ტოტის „აჯანყების" მეორე დღეს ასეთი სიტყვები ბრძანა: „საერთოდ, მოთამაშეების უცხოეთში გადახვეწა თანამედროვე ფეხბურთის გლობალიზაციიდან გამომდინარე არ მაშინებს. სხვა საქმეა, რომ ფრანჩესკო ტოტის სადმე წასვლით სერია A იზარალებს, მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, ის „რომადან" წამსვლელი ნამდვილად არ მგონია".

შეგახსენებთ იმასაც, რომ „რომასა" და ტოტის ხელშეკრულება 2006 წლამდეა ძალაში. ეს იმას ნიშნავს, რომ „რომამ" კაპიტანი ან 2005 წლის ზაფხულზევე უნდა გაყიდოს ანდა ახალი კონტრაქტი გაუფორმოს, თორემ თუ 2006 წლამდე აცალა, დიდი ფულის და ფეხბურთელის დაკარგვას რისკავს — ადგება ტოტი და თავისუფალი აგენტის სტატუსით ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე გადავა სადაც მოეპრიანება. ერთი სიტყვით, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ტოტის ხსენებული „აჯანყება" ხელფასის გაზრდისკენ მიმართული ფინტი იყო და მეტი მართლაც არაფერი, თუმცა მოდით, ამას შევეშვათ, რადგან ამ დღეებშივე გამოჩნდა კაპიტნის ახალი ინტერვიუ, სადაც მან ბრძანა:

„არაფერი უცხო და უცნაური არ მითქვამს, უბრალოდ გავიმეორე ის, რაც ბევრჯერ გულწრფელად მომიხსენებია საზოგადოებისთვის. დიახ, მითქვამს, რომ მზად ვარ „რომაში" დავრჩე, უბრალოდ, მინდა დიდი კლუბის ნაწილი ვიყო. რომი და რომაელები ხომ დიდ კლუბს იმსახურებენ".

ამაზე „რომას" პრეზიდენტის, ფრანკო სენსის ქალიშვილმა, როზალინა სენსიმ განაცხადა, რომ კაპიტნის ასეთი გამოსვლით კმაყოფილია:

„ეჭვიც არ მეპარება, რომ ფრანჩესკო ჩვენგან არსად წავა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მე რა მეშველება ჩემი უმცროსი ძმიკოს გარეშე? ძლიერი „რომა" რომ უნდა, ამაში ის აბსოლუტურად მართალია, მაგრამ ეს ხომ მთელ კლუბს, უკლებლივ ყველას გვინდა. სულ მალე კი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე [illegible]".

გავიხსენოთ, რომ ამასწინათ ტოტიმ „რომას" მაისურით 108-ე გოლი გაიტანა და ამით კლუბის რეკორდი დაამყარა.

„ბოლო, სარეკორდო გოლს საკუთარ თავს ვუძღვნი — განაცხადა რობერტო პრუცოს რეკორდის დამმხობმა კაპიტანმა — ხოლო მათ შორის საუკეთესოდ „ლაციოსთან" 5:1 მოგებულ შეხვედრაში მეკარის თავზე გადაგდებული მიმაჩნია".

ტოტის შესახებ აზრი ჰკითხეს თავად პრუცოსაც. მან ბრძანა:

„საგანგები ნიჭით დაჯილდოვებული სრულყოფილი ფეხბურთელია. სხვა ფეხბურთელებს თავთავიანთი დადებითი აქვთ, ტოტის კი ყველაფერი შეუძლია".

მაგრამ ეს ყველაფერი ემოციაა, საქმე კი კლუბის სპორტული დირექტორის, ფრანკო ბალდინის კაბინეტში წყდება. ბალდინი კი ბრძანებს, რომ „რომას" ისეთ გუნდობამდე, ტოტი რომ ოცნებობს, ორი ფეხბურთელი აკლია:

„ჩვენ დღესაც ძალიან კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ მისთვის კიდევ ერთი ან ორი ფეხბურთელი რომ დაგვემატებია, ისევ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებდით. ჩვენ ყველანი ვიზიარებთ იმ დამოკიდებულებას, რომელიც ფრანჩესკო ტოტის აქვს. უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ გარკვეული პერიოდით დასახულ გეგმას ვერ მივსდიეთ, ჩამოვრჩით. მეორე მხრივ, მიზანი მიზანია, ის არ შეცვლილა და მისკენ დაჟინებით რომ მივიწევთ, ფაქტია".

მაგრამ რას ნიშნავს ეს კონკრეტულად?

**პაპუნა ძიდია**

# მოჯი გამყიდველია

*როგორც „იუვენტუსის" გენერალური დირექტორი, ლუჩანო მოჯი ბრძანებს, მოახლებულ სატრანსფერო ფანჯარას სერია A-ს ლიდერი და ოცდაშვიდგზის ჩემპიონი უმალ ფეხბურთელების გასაყიდად გამოიყენებს, ვიდრე საყიდლად*

„შობის შემდეგ არავის ყიდვას არ ვაპირებთ — ბრძანა კაცმა, ვისაც ევროპული პრესა ხშირად ტრანსფერთა გურუდ მოიხსენებს — დღეისთვის ჩვენ ფეხბურთელების რაოდენობის შემცირება უფრო გვჭირდება, ვიდრე გაზრდა".

მაგრამ მოჯის კონკრეტულად არავინ უხსენებია. ასე რომ, ყველაფერი ისევ მითქმა-მოთქმის დონეზე რჩება. ამბობენ, რომ „ბებერმა ქალბატონმა" უნდა გაუშვას სამი კაცი: მარკ იულიანო, ნიკოლა ლეგროტალიე და ალესიო ტაკინარდი.

„დავიდ ტრეზეგეს გამოჯანმრთელების ტემპით კმაყოფილები ვართ და 12 იანვარს იტალიის თასზე „ატალანტას" წინააღმდეგ მას უკვე მოედანზე ველოდებით — განაგრძო გენერალურმა დირექტორმა, რომელსაც კითხვა ასე შეუბრუნეს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ფაბიო კაპელო ალესანდრო დელ პიეროს სათადარიგო სკამზე გადასვამსო. მოჯიმ უპასუხა:

„მწვრთნელი ყოველთვის იმ ფეხბურთელებს ათამაშებს, რომლებიც უკეთეს ფორმაში იქნებიან".

შეგახსენებთ, რომ საშობაო არდადეგებს „იუვენტუსი" ცხრილში პირველ ადგილზე შეხვდა. მას ოთხი ქულით ქვეყნის ახლანდელი ჩემპიონი „მილანი" ჩამორჩება.

„მართალი რომ ვთქვათ, ფეხბურთელები ცოტა გადაიღალნენ და საშობაო არდადეგებიც კარგ დროს დაგვემთხვა, მაგრამ მეორე მხრივ, „მილანს" იმიტომ ვუსწრებთ, რომ აქამდე რასაც ვაკეთებდით, კარგად ვაკეთებდით" — დასძინა მოჯიმ.

**პაპუნა ძიდია**



# მილანმა იუვემს იანკულოვსკი მოუგო

**მარეკ იანკულოვსკის** გადაბირებაში „მილანმა" „იუვენტუსს" აჯობა. იტალიაში გავრცელებულ ცნობათა თანახმად, „უდინეზესა" და „მილანს" შორის უკვე ყველაფერი მოგვარებულია და საშობაო არდადეგებზე დაახლოებით 11 მილიონი დოლარის საფასურად ჩეხი იურიდიულად „შავ-წითელ" ბანაკში გადაბარგდება. რაც შეეხება ფიზიკურ გადაბარგებას, ეს ზაფხულისთვისაა დაგეგმილი. საქმე ის გახლავთ, რომ უდინელები ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილის მოპოვებას აპირებენ და ამ მიზნის მისაღწევად იანკულოვსკი აუცილებლად სჭირდებათ.

საინტერესოა, რომ იანკულოვსკის „მილანში" გადასვლა ხელს არ აძლევს „ფიორენტინას", რადგან ასეთ შემთხვევაში „იუვენტუსი" თავის მოთამაშეს, ფლორენციელთათვის მიქირავებულ ჯორჯო კიელინის წაიყვანს უკან. შეგახსენებთ, რომ კიელინიმ ამასწინათ იტალიის ნაკრებშიც კი გაიკვალა გზა.

**პაპუნა ძიდია**



# ოდოს მანჩინი წაიყვანს

**მასიმო ოდოს** აგენტმა „ლაციოს" შეფებს განუცხადა, რომ მისი კლიენტი გუნდიდან წასვლას ლამობს და საამისოდ უკვე მოსინჯა ურთიერთობა „ნაპოლისთან", „ფიორენტინასა" და „ატალანტასთან".

„მგონი აშკარაზე აშკარაა, რომ მასიმოსა და „ლაციოს" ურთიერთობები ლოგიკურ დასასრულთანაა მისული — თქვა ფედერიკო პასტორელომ — ვიცი, რომ მასიმო საახალწლოდ ვითარების შეცვლას მოიწადინებს. ეს მას ფორმალური თვალსაზრისითაც სჭირდება და ფსიქოლოგიურადაც".

გასულ ზაფხულს „ლაციოში" შექმნილმა ფინანსურმა კრიზისმა კლუბს ბევრი ფეხბურთელის გაყიდვისკენ უბიძგა და წესით ერთ-ერთი გაყიდულთაგანი ოდო უნდა ყოფილიყო, მაგრამ შესაძლო ვარიანტებთან, ინტერთან" და „იუვენტუსთან" პირობების ვადებში მოლაპარაკება ვერ მოხერხდა და საქმეც გადაიდო. ახლა, ამბობენ, რომ ოდოს „ლაციოდან" „ინტერში" წასული მწვრთნელი, რობერტო მანჩინი წაიყვანს, მით უფრო რომ „შავლურჯებს" დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვთ.

**პაპუნა ძიდია**



# ეტოოს საჩუქარი
## ხოაკინის გაცილება გადაიდო

**ესპანეთი**

**პრიმერადივიზიონი. XVII ტური**

**ბარსელონა 2:1 ლევანტე**

1:0 დეკო (29), 1:1 ჟოფრე (60), 2:1 ეტოო (87)
ბარსელონა: რუბენი, დამია (მესი 58), პუიოლი, ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, ბელეტი, ხავი, ინიესტა, დეკო, რონალდინიო, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ლევანტე: მორა, პინილიოსი, ალექსისი, კულებრასი, დესკარგა, სელესტინი, რივერა, ეტიენი (ხუანმა 88), ჟოფრე, ნაჩო (კამაჩო 73), მანჩევი (სერხიო გარსია 64)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: რივერა, ეტიენი, დამია, ალექსისი, ოლეგერი, ბელეტი, ვან ბრონკჰორსტი, კამაჩო
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
51 368 მაყურებელი

**ბეტისი 1:0 ატლეტიკო**

1:0 ხოაკინი (7)
ბეტისი: დობლასი, მელი, ხუანიტო, რივასი, ტაისი (ვარელა 68), ხოაკინი, არზუ, მ. ასუნსაო, ედუ, ფერნანდო (კანიასი 64), რ. ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სერხი (მუსამპა 59), პაბლო, პერეა (პაუნოვიჩი 80), აგილერა, ანტონიო ლოპესი, მარსელო სოსა (ხორხე 46), ლუქსენი, იბაგასა, ფ. ტორესი, სალვა
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: ხუანიტო, ედუ, ხუანიტო
გაძევება: ხუანიტო (78)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
25 000 მაყურებელი

შეგვიძლია ასე ვთქვათ: სამუელ ეტოომ „ბარსელონას" საახალწლოდ სამქულიანი გოლი აჩუქა. ამასთან შეგვიძლია დავძინოთ, რომ რონალდინიომ წლის საუკეთესო ფეხბურთელობა სამქულიანი საგოლე პასით აღნიშნა.

თუმცა სჯობს თავიდან მოვყვეთ. რა გასაკვირია, რომ „ბარსელონა" თავიდანვე ჯიქურ შეუტევდა ძალიან სიმპათიურ, მაგრამ კლასით მაინც ბევრად ნაკლებ „ლევანტეს". თანაც წინა ტურში კატალონიელებმა პირველად დაკარგეს შინ ქულები და ბრაზიც ვინმეზე უნდა გადმოენთხიათ. ხელში კი „ლევანტე" მოხვდათ. რონალდინიოს ძალიან სახიფათო დარტყმა მეკარე ხუან ლუის მორამ ცალი ხელით მოიგერია, მერე კი დეკოს ჰქონდა კარგი მომენტი და მანაც ვერ გამოიყენა.

„ლევანტე" კი იბრძოდა, როგორც შეეძლო. სტუმრებს სტუმრად მიჯრით ექვს მატჩში ვერ ემარჯვათ და „კამპ ნოუზე" იმის იმედად იყვნენ, „ბარსას" დაცვა მთლად გამართულად ვერ თამაშობს და მეკარეც გამოუცდელი ჰყავსო. მოგეხსენებათ, ვიქტორ ვალდესი წინა ტურში გააძევეს.

„ბარსა" პირველი ტაიმის შუაწელში დაწინაურდა. დეკომ საჯარიმო დაარტყა, ბურთი გზად ალექსისს მოხვდა და რიკოშეტით კარში შეფრინდა.

მოსალოდნელი იყო, რომ მეორე ტაიმში „ბარსელონა" თავის უპირატესობას განამტკიცებდა, მაგრამ ის რაც მოსალოდნელია, ყოველთვის რეალობად ვერ იქცევა ხოლმე.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „ლევანტემ" ანგარიში გაათანაბრა. ხოფრემ საოფსაიდო ხაზი გაარღვია და გაიტანა. ამის გარდა, ლევანტელებს კიდევ რამდენიმე ისეი მომენტი ჰქონდათ, ვერგატანა ცოდვა იყო.

თამაში ბოლოსკენ მიდიოდა და სწორედ მაშინ, როცა ნერვიულობამ ზღვარს უწია, თავში ნახსენები ამბავი მოხდა — ეტოომ რონალდინიოსგან ბურთი მიიღო, გაიჭრა და კარგა შორიდან ისეთი დაარტყა, ლამის ბადე გახია.

სამშაბათის მეორე შეხვედრაში „ბეტისმა" მადრიდის „ატლეტიკო" დაამარცხა. ერთადერთი გოლი ხოაკინმა გაიტანა, რის მერეც სევილიელთა პრეზიდენტმა მანუელ რუის დე ლოპერამ თქვა, ხოაკინის „ჩელსიში" გაყიდვას აღარ ვაპირებო: „განზრახული გვქონდა, რომ წინა ტურის სევილიური დერბი ხოაკინისთვის ბოლო თამაში უნდა ყოფილიყო და ჩვენი თეთრ-მწვანე მაისურით ეთამაშა. მაგრამ ახლა გადაწყვეტილება შევცვალეთ. იმ მატჩში მაისურების გამოცვლა მოგვთხოვეს, ჩვენთვის კი პრინციპის საქმეა, რომ ხოაკინი გუნდს სწორედ თეთრ-მწვანე მაისურით გამოემშვიდობოს."

პრინციპებისა რა გითხრათ და საქმე ასე იყო: დერბიში „სევილია" თეთრი მაისურით გავიდა, არბიტრმა ფერნანდო ტეიშეირა ვიტიენესმა კი სტუმარ „ბეტისს" ისეთი მაისურებით თამაში მოსთხოვა, თეთრი ფერი რომ არ ექნებოდა გარეული. ჰოდა, სანამ „ბეტისის" წარმომადგენლები სტადიონიდან თავიანთ ოფისში დაბრუნდნენ და სარეზერვო მწვანე მაისურები მოიტანეს, მატჩის დაწყება 45 წუთით დაყოვნდა.

**ირაკლი ნინიძე**

**სეგუნდადივიზიონი. XIX ტური**

**ეიბარი 1:2 უელვა**

1:0 ფაგოაგა (23), 1:1 უჩე (60), 1:2 ვიკეირა (90)

ფლორენტინო პერესისთვის დირექტორთა საბჭოს შემდეგ ჟურნალისტებთან გასაუბრება ჩვეული ამბავი არ გახლავთ. გუშინწინ კი მადრიდის „რეალის" თავკა[illegible] დაარქვია და ესპანურ მედიას არიგო საკის ფეხბურთის დირექტორად დანიშვნის ამბავი ამცნო. ფლორენტინოს [illegible] იტალიის ნაკრების ყოფილი დამრიგებლის ურთიერთკავშირი ვინძლო კასტილიური გრანდისთვის შედეგიანი გამოდგეს — „საკი „რეალში" კლუბისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმის გასაკეთებლად მოვიდა" — განუცხადა პერესმა მადრიდულ AS-ს

# იტალიელი დირექტორი
## პერესმა საკის რეალის სიცოცხლე ანდო



— საკი რატომ აირჩიეთ?

— გვინდოდა „რეალში" გამოცდილი სპეციალისტი მოგვეწვია. საკი სწორედ ასეთია, თუმცა მას მწვრთნელობა აღარ სურს. დარწმუნებული ვარ, არიგო თავისი ცოდნით და გამოცდილებით გუნდს ძალიან დაეხმარება.

— ხელშეკრულება რამდენი წლით გააფორმეთ?

— კონტრაქტი განუსაზღვრელი ვადით გავაფორმეთ.

— „რეალის" იერაქიაში საკის რა ფუნქციები დაეკისრება?

— იგი ფეხბურთის დირექტორია და ამ მხრივ ყველაფერს უხელმძღვანელებს — დაწყებული პირველი გუნდიდან დამთავრებული კანტერამდე (ახალგაზრდული გუნდი). „რეალთან" დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილება საკისთან იქნება შეთანხმებული.

— მადრიდში როდის ჩამოდის?

— ამ საღამოს ველოდებით. მისი „რეალში" გაწევრიანების თარიღი უკვე დავადგინეთ, რაკი „ბერნაბეუზე" თავის საქმეებს ოფიციალურად იანვრიდან მიხედავს.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ „რეალში" ფეხბურთს ჩამოცილებული კაცი მოსულიყო?

— საკი ფეხბურთს ჩამოცილებული არაა, პირიქით, შეიძლება ითქვას, იგი ფეხბურთით ცოცხლობს. „რეალის" ფეხბურთის დირექტორს კლუბის ორგანიზაციის სწორად წარმართვა უნდა შეეძლოს, რასაც საკი აუცილებლად მოახერხებს.

— ამბობდნენ, რომ საკისთვის დირექტორობა კი არა, მწვრთნელობა უნდა შეგეთავაზებინათ...

— მისი კონტრაქტი მომავალში მწვრთნელობას არ გამორიცხავს, მაგრამ ამჟამად დამრიგებლობაზე თავად იტალიელი კატეგორიულ უარს ამბობს. არ ვიცი მერე რა იქნება, ახლა კი ჩვენ მარიანო გარსია რემონს ვენდობით და მის შეცვლაზე არც გვიფიქრია. იმედია, ეს ორი სპეციალისტი „რეალის" საკეთილდღეოდ საერთო ენას მალე გამონახავს.

— საკი თანამდებობაზე ძნელად დაითანხმეთ?

— პირიქით, იოლად. „რეალში" საქმიანობაზე ბევრს არ ყოყმანობენ ხოლმე.

— რობერტო კარლოსზე ვისაუბროთ. ბრაზილიელის „რეალიდან" შესაძლო წასვლაზე რას გვეტყვით?

— რაღაც წავიკითხე პრესაში ამის შესახებ. თუმცა არ მგონია, კარლოსი „რეალიდან" წასვლაზე სერიოზულად ფიქრობდეს. მისი კონტრაქტი წესრიგშია და, საერთოდ, თუ ფეხბურთელი მორიგ თამაშში ძირითადში ვერ მოხვდა, უმალ გუნდიდან წასვლაზე არ უნდა ალაპარაკდეს.

— მორიენტესზე რას გვეტყვით?

— ფერნანდოს და მის აგენტს ახლახან ველაპარაკე. ჯერ უცხოურ კლუბებს ჩვენთვის არ მოუმართავთ, როცა შემოთავაზებები იქნება, ვეცდებით, ფერნანდოს ტრანსფერის საკითხი კლუბის ინტერესების გათვალისწინებით მოვაგვაროთ.

— იანვარში ახალი ტრანსფერები იქნება?

— ბუტრაგენიომ და საკიმ ახალ ფეხბურთელებზე მოილაპარაკეს, მეც ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვეჭვობ, პრიმერას შუაგულში „რეალისთვის" საინტერესო მობურთალები იოლად მოიძებნოს.

# ანჩელოტი მადრიდშია...
## ჩოგბურთის სათამაშოდ



ადრიანო გალიანი და კარლო ანჩელოტი

კარლო ანჩელოტი მილანიდან წასვლას არ აპირებს — განუცხადა იტალიურ მედიას „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ. „როსონერის" დიდსაფეხბურთო მოხელე დარწმუნებულია, რომ ანჩელოტი სამშობლოში დარჩება: „გამორიცხულია, რომ არიგო საკიმ ანჩელოტი მადრიდის „რეალში" მიიყვანოს. კარლოს „მილანთან" კონტრაქტი 2007 წლამდე აკავშირებს".

გალიანი ამ თემაზე ბოლო დღეებში გავრცელებული მითქმა-მოთქმის გამო ალაპარაკდა — ესპანურ პრესაში გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით, მადრიდელთა ახალდანიშნულ ფეხბურთის დირექტორს, არიგო საკის ანჩელოტის სამეფო გუნდში გამწვრთნელება განუზრახავს.

„მილანის" მწვრთნელს გუშინ ტელეფონით ვესაუბრე და ვაღიარებ, რომ იგი მართლაც ესპანეთშია, ოღონდ ჩოგბურთის სათამაშოდ" — ხუმრობს იტალიელთა ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი.

**ლოდო ხომერიკი**



არიგო საკი გუშინ მადრიდში ჩავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ ყვითელი?!
## ესპანელები იოლად გადარჩნენ



*ფიფამ 44 750 გირვანქით დააჯარიმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია იმ ცნობილი რასისტული ამბისთვის, ესპანეთ — ინგლისის მატჩზე რომ მოხდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“. მაშინ ესპანელმა გულშემატკივრებმა ინგლისელ შავებს, ეშლი კოულსა და შონ რაიტ-ფილიპსს კანის ფერის გამო აგინეს. ეს იყო 17 ნოემბერს*

ფიფას ლმობიერმა ჯარიმამ აღაშფოთა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, რომელსაც მიაჩნია, რომ ესპანეთში საფეხბურთო რასიზმის ტალღა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა ააგორა, რომელმაც თავის ფეხბურთელებთან ლაპარაკში ტიერი ანრი „შავ მაიმუნად“ მოიხსენია, ამას კი უხეში საუბარი მიაყოლა ინგლისის კოლონიურ წარსულზე.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ თავის განცხადებაში აღნიშნა: „ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ფიფას გადაწყვეტილებას ჯარიმისა და გაფრთხილებას უფრო მკაცრი სასჯელის შესახებ“. უნდა დავეთანხმოთო, თორემ ნამდვილად უკმაყოფილონი არიან, ამგვარი ლმობიერება საქმეს არ უშველისო. იგივეს ფიქრობენ სპორტში რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციებიც.

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის თავკაცმა გორდონ ტეილორმა კი თქვა: „ესპანელებს მხოლოდ ყვითელი ბარათი უჩვენეს, თუმცა, ჩვენ წითელს უფრო ველოდით“.






# არც ხმას მცემს და არც პატივს
## სუნესისგან მოძულებული რობერი ნიუკასლიდან მიდის

ცოტაც და 29 წლის ფრანგი ლორან რობერი „ნიუკასლში“ აღარ ითამაშებს. მენეჯერმა გრემ სუნესმა მას ზარმაცი უწოდა.

რობერმა რომ დაატყო, მიშვებენო, მედიას ჩამოუჯდა და ებაასა: „სუნესი ხმას არ მცემს, არც ხმას, არც პატივს. მეტი არაფერი. უბრალოდ არ მოვწონვარ.

მთელს ქვეყანას მოსდო, რომ ზარმაცი ვარ და ძირითადშიც აღარ მაყენებს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნიუკასლში“ აღარ ვითამაშებ. მგონი, ბოლო სამ წელიწადში ყველას დავუმტკიცე, რა შემიძლია, მაგრამ მენეჯერი სხვაგვარად ფიქრობს.

ალალად რომ ვთქვა, დარჩენა მინდა. აქაურობა მომწონს და მიყვარს, მაგრამ სუნესი სხვაგვარად ფიქრობს“.

ამ კვირასაც სუნესმა ყრმა ჯეიმს მილნერი დააყენა „ლივერპულის“ წინააღმდეგ, რობერი კი სათადარიგოთა მწკრივის ბოლოში იჯდა და მთელი იმ წაგებული თამაშის განმავლობაში მობილურზე ლაპარაკობდა.

რობერი ერთხელ სერ ბობი რობსონმაც დასაჯა, თავისი ინტერნეტსაიტი კლუბის საკრიტიკოდ გამოიყენაო.

რობერს კლაუდიო რანიერიც უხმობს „ვალენსიაში“ და ჰარი რედნაპიც ექაჩება „საუთჰემპტონისკენ“, ფეხბურთელს უფრო ინგლისში სურს დარჩენა.

„მოწინავე კლუბები მელაპარაკებიან. ინგლისში მინდა თამაში. აქ მივეჩვიე. სეზონის ბოლომდე თუ გამაქირავებენ, საფრანგეთშიც კი წავალ. უბრალოდ, ეს არ არის პრიორიტეტული — ამბობს ნახევარმცველი — სუნესის ხელში ჩვენ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოვიპოვებთ. ამას ბიჭები ძალიან განიცდიან. დიდი დაწოლაა გუნდზე. ამდენი ხანი მოუგებლად? „ნიუკასლს“ აღარც ახსოვდა ასეთი რამ. ფანებისთვის ძალიან მძიმეა ამის ატანა“.

აქ იმასაც დავამატებთ, რომ „ნიუკასლიდან“ 35 წლის მცველი რონი იონსენიც მიდის. მას საზარდულის ტრავმა აქვს, კონტრაქტი კი შუა იანვარში გასდის.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ტევესმა ბრაზილიას მარადონა უთხრა




არგენტინელი კარლოს ტევესი ბრაზილიაში ჩავიდა და „კორინთიანსთან“ კონტრაქტი გააფორმა. „კარლიტოს“ ფანები ზარ-ზეიმით დახვდნენ, კლუბის ბოსებმა პურმარილის გაშლაც არ დაიზარეს. ტევესმა თქვა: „ბრაზილიელები ფიქრობენ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი პელეა, მე კი საუკეთესოდ მარადონა მიმაჩნია“.

არგენტინელი ყმაწვილკაცის სანაცვლოდ „კორინთიანსმა“ 18 მილიონი დოლარი გადაიხდა და ეს სარეკორდო ტრანსფერია ორ სამხრეთამერიკულ გუნდს შორის. „კორინთიანსმა“ ახლახან გააფორმა კონტრაქტი ინგლისურ საინვესტიციო კომპანია MSI-სთან, რომელმაც კლუბის ანგარიში 35 მილიონი დოლარით შეავსო. კარლოს ტევესმა „ბოკა ხუნიორსში“ ბოლო გოლი ერთი კვირის წინ სამხრეთ ამერიკის თასის ფინალში „ბოლივართან“ მატჩში გაიტანა. იგი ახალ გუნდში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, საშობაოდ სამშობლოში დაბრუნდება და იანვარში „კორინთიანსთან“ ერთად შეკრებაზე გაემგზავრება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სიგარა თვალში
## ვაი ბარტონის პატრონს

„მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველმა ჯოი ბარტონმა კლუბის საშობაო ქეიფზე გვარიანად აურია — მეორე გუნდის ყმაწვილ ფეხბურთელს, ჯეიმს ტენდის მარცხენა თვალზე ანთებული სიგარა მიადო.

22 წლის ბარტონმა თავი იმართლა, თავად გამომიწვია, რადგან ჩემი მაისურის დაწვას ლამობდაო. „სიტის“ ბოსებმა ორივე მოთამაშე დაადანაშაულეს და მათ სასჯელი არ ასცდებათ. ბარტონს სავარაუდოდ ექვსი კვირის ჯამაგირს (100 ათასი გირვანქა) დაუქვითავენ. ამ საქმეში პოლიცია არ ჩარეულა, ტენდი კი საავადმყოფოში გააქანეს. კევინ კიგანი და კლუბის ორი დირექტორი უახლოეს დღეებში მოჩხუბრებს შეხვდებიან და ჭკუას დაარიგებენ. ჯოი ბარტონისთვის ეს პირველი შემთხვევა არაა, კიგანმა იგი ადრეც არაერთხელ გააფრთხილა.

შეგახსენებთ, რომ ამავე ქეიფზე ნიკოლა ანელკას „სიტის“ ფანმა სილა გააწნა, ხოლო ამის შემდეგ ანელკას მეგობარიც მიბეგვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**






# ბელამის გასაღები დაუმალეს
## კლუივერტს რიცი გაუკვირდა

„ნიუკასლის“ მწვრთნელმა გრემ სუნესმა ლონდონის სასტუმრო „რიციდან“ წერილი მიიღო, რომელშიც ეწერა, თქვენმა ოთხმა ფეხბურთელმა ჩვენი პერსონალი შეურაცხყოო.

ოთხიდან ორი პატრიკ კლუივერტი და კრეიგ ბელამი არიან. ბელამიმ იუარა: „არაფერი მომხდარა. როცა სასტუმროში დავბრუნდი, ოთახის გასაღები არ მომცეს. მე ნომერში შეშვება და ჩემი ფულის უკან დაბრუნება ვთხოვე. მათ დაურეკეს ვილაცას, რომელიც ჩემს პირობას დაყაბულდა. კლუივერტიც იქ იყო. მას მსგავსი რამ ესპანეთში შემთხვევია, მაგრამ აქ გაუკვირდა და ვერ დაიჯერა. შეურაცხყოფა არავისთვის მიგვიყენებია. ეს ამბავი სასაცილოდაც კი არ მყოფნის“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რატომ, ოლივერ?

## კანს კლინსმანის მუსიკა მოსწონს

*ოლივერ კანისთვის გასული შემოდგომა არცთუ საამო გასახსენებელია, რადგან მეკარე ექვს შეცდომა დაუთვალეს, რომელთა გამოც „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების კარში გოლები გავიდა. „კიკერთან“ ინტერვიუში კანი იურგენ კლინსმანზე, მომავალზე და უახლოეს მიზნებზე საუბრობს*




**— როგორ ფორმაშია ბუნდესნაკრები წლის ბოლოს?**

— ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ნაკრებისთვის. იურგენ კლინსმანმა გულიანად იმუშავა და ეს აზიურ ტურნეშიც გამოჩნდა.

**— კერძოდ რა გამოჩნდა?**

— მწვრთნელი კარგი ფსიქოლოგია და იცის, როგორ გააღვივოს გუნდური სული.

**— კი მაგრამ, თქვენ ხომ სამხრეთ კორეასთან 1:3 წააგეთ?**

— ეს შედეგი სანერვიულოა არაა. აზიურ ტურნეში ჩვენთვის მთავარი იყო საკუთარი ძალა გვერწმუნა. მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ გერმანიის ნაკრები ძალიან ძლიერია.

**— გუნდმა კლინსმანის იდეები როგორ აითვისა?**

— ფეხბურთელები გრძნობენ მწვრთნელის ხელს. კლინსმანს ყველა ნაბიჯი გათვლილი აქვს და დარწმუნებულია მათ სისწორეში. მატჩის წინ ერთად ვიკრიბებით და ვმსჯელობთ. მაგალითად, მე კლინსმანს საკმაოდ დიდხანს, საფუძვლიანად ვესაუბრე.

**— თქვენი გამოცდილების პატრონს კიდევ სჭირდება ასეთი საუბარი?**

— უმეტესობას ჰგონია, რომ კანი აუღელვებელია, თანაგუნდელები „ტიტანს“ მეძახიან, მაგრამ დროდადრო მეც მჭირდება გულღია ურთიერთობა.

**— იურგენ კლინსმანის რომელ თვისებას გამოარჩევთ?**

— მასთან მუშაობისას ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი ფსიქოლოგიური ხასიათის ცვლილებები. ეს საკვირველია. მწვრთნელი საოცარი მოსაუბრეა და კიდევ ის, რომ მოთელვამდე გასახდელში მუსიკას გვასმენინებს, რომელიც შესანიშნავ განწყობას გვიქმნის.

**— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კანი და კლინსმანი იდეალური წყვილია?**

— ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას მატჩის წინ თავად ისე იყო დამუხტული, რომ ეს მუხტი სხვებსაც გადაეცემოდა. ახლაც, მწვრთნელობისას იგივეს ახერხებს.

**— მან ხომ კაპიტნობა ჩამოგართვათ...**

— კლინსმანმა ბალაკს ანდო სამკლავური და ეს ბალაკისთვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავია, რადგან მის თამაშს და შედეგიანობას აშკარად დაეტყო. მწვრთნელი ჩემგან გუნდის პრობლემებში კარგად გარკვევას ითხოვდა და ეს ალბათ ვერ შევძელი.

**— თქვენს თამაშზე მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალში გაშვებულმა გოლმა იმოქმედა?**

— როცა მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ხარ და ასეთი დონის მატჩში შეცდები, მერე დიდხანს გაწუხებს კითხვა, რატომ?

**— იპოვეთ ამ კითხვაზე პასუხი?**

— შემიძლია, ვუპასუხო, რომ ფინალის წინ თითი ვიტკინე და ბურთიც ამიტომ გამივარდა ხელიდან, მაგრამ თავის მართლებას არ ვაპირებ.

**— კიდევ ეკითხებით საკუთარ თავს „რატომ“?**

— უკვე დამავიწყდა. ახლახან აზიურ ტურნეში ისევ ვითამაშეთ იოკოჰამაში (იაპონიასთან) და მაშინ გავიფიქრე, რომ ბრაზილიასთან წაგებული ფინალი წარსულია და ის უნდა დავივიწყო.

**— 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონი თუ გახდებით, ჩათვლით, რომ თქვენი მისია ამოწურულია?**

— ეს ამერიკული ფილმის სიუჟეტს მაგონებს, რომლის გმირსაც თავიდან არაფერი გამოსდის, ბოლოს კი იმარჯვებს. ჩემპიონობა, ცხადია, საუკეთესო დასასრულია, თუმც ჩემი ცხოვრება ამაზე არაა დამოკიდებული.

**—როდესაც კლინსმანმა კან-ლემანის შეჯიბრი დაიწყო, რა იფიქრეთ?**

— მე ის ადამიანი არ ვარ, რომელიც ნებდება. ასეთ ვითარებაში ჟინი მიორმაგდება და ვფიქრობ, მეტი ვივარჯიშო, რომ მწვრთნელის ნდობა დავიბრუნო.

**— ფრანც ბეკენბაუერმა თქვენი შეცდომები ასაკს დააბრალა...**

— მას აქვს გაკრიტიკების უფლება, მაგრამ ასაკთან დაკავშირებით აშკარად შეცდა. ასეთი პრობლემა არ არსებობს. ჩემს სხეულს რეაქცია და მოქნილობა კიდევ დიდხანს ექნება. მთავარია, ნებისყოფა და თავად მივხვდები, როდის ჩამოვკიდო ხელთათმანები.

**— ეს შეიძლება მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატამდე მოხდეს?**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონატზე თამაში მსურს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ დროისთვის საუკეთესო ვიქნები. კარგი წარსულისთვის კარს არავინ განდობს.

**— დღეს თქვენ საუკეთესო ხართ?**

— აღარ მსურს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, რადგან ჩემს ნათქვამს არასწორად გაიგებენ. ამჟამად მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ საკუთარ თავს ერთხელ კიდევ ვაჯობო და ძველებური ფორმა აღვიდგინო. მოტივაცია მაქვს და სანამ სასურველს არ მივაღწევ, არ მოვისვენებ.

**— მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატის შემდეგ კარიერას აუცილებლად დაასრულებთ?**

— საამისო მიზეზს ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

**— „ბაიერნიდან“ თუ წახვედით, რომელ გუნდში ისურვებდით თამაშს?**

— აზიელებისგან ბევრი რამ ვისწავლე და მათ შორის ისიც, რომ კაცი პროგნოზებს უნდა მოერიდოს.

**— იაპონიაზე რას იტყვით?**

— ყველაფერი შეიძლება ვივარაუდოთ, თუნდაც კარიერის იაპონიაში გაგრძელება. ამ ქვეყანაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

**— „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის ვარიანტიც გქონდათ...**

— „მანჩესტერში“ 2003 წელს შემეძლო გადასვლა, მაგრამ საკუთარ თავს „ბაიერნის“ ნაწილად მივიჩნევ და მსურს, ზეპ მაიერივით მთელი კარიერა აქ გავატარო.

**— თქვენ კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე ესაუბრეთ „ბაიერნის“ თავმჯდომარეს, მაგრამ ის თავს იკავებს...**

— მე მხოლოდ მსურდა, რომ ამით „ბაიერნისთვის“ ერთგულება დამემტკიცებინა.

**— ეთანხმებით თუ არა ფელიქს მაგათის ნათქვამს იმის თაობაზე, რომ „ბაიერნს“ „იუვენტუსის“, „ჩელსის“ და „მილანის“ ძლევა შეუძლია?**

— ეს საქმით უნდა დავამტკიცოთ. მეტი სტაბილურობა გვმართებს. მაგათის შრომა საკმაოდ ნაყოფიერია და შედეგსაც ხედავთ, დისციპლინის მხრივ კი ოდნავ მოვიკოჭლებთ და ამის გამოსწორება გვჭირდება.

**— რას შეცვლით თქვენს თამაშში?**

— გასული წელი უნდა გავაანალიზო. ვნახავ ყველა მატჩის ფირს, რომელშიც გოლები გავუშვი, თუმც ბევრი რამის შეცვლას არ ვაპირებ.



# ბებრების შანსი

**აზიიდან** დაბრუნებულმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ 31 წლის დიტმარ ჰამანმა და ოლივერ ნოივილმა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე თამაშის იმედი არ უნდა დაკარგონ. „მათ ჯერ კიდევ აქვთ შანსი — თქვა მწვრთნელმა — ასაკი მთავარი არ არის. ჩვენ ვაკვირდებით ნაკრების კანდიდატებს და მათ შესახებ ყველაფერი ვიცით, თუმც უპირატესობას იმ მოთამაშეებს მივანიჭებთ, რომლებიც ხშირად ხვდებიან შემადგენლობაში. ჰამანისა და ნოივილის დარ გამოცდილ ფეხბურთელებს ეროვნულ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად მეტი შრომა დასჭირდებათ“.

რაც შეეხება აზიაში გამართულ სამ მატჩს, ბუნდესნაკრების თავკაცმა აღნიშნა: „გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. საქმე კარგად მიდის და ვიმედოვნებ, რომ მომდევნო ამხანაგურ მატჩებში კიდევ უფრო უკეთესად ვითამაშებთ. ჩვენ არგენტინას, ჰოლანდიას და საფრანგეთს უნდა შევხვდეთ, მერე კი კონფედერაციის თასი გველის“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩი

**ტაილანდი 1:5 გერმანია**

0:1, 0:2 კურანი (34, 38), 1:2 სარაიუტი (57), 1:3 პოდოლსკი (73), 1:4 ასამოა (84), 1:5 პოდოლსკი (89)

**ტაილანდი:** კოსინი, ვირაიუტი (ანონი 75), ნაკარინი, ნივიატი, რუნგროი (სონგსაკი 45), თერდსაკი, საკდა (ათიპოლი 57), კიტისაკი (ჯაკაპონგი 81), იუტაჯაკი, სარიფი (პიავატი 57), სარაიუტი (სურია 70)

**მწვრთნელი:** ზიგფრიდ ჰელდი

**გერმანია:** ჰილდებრანდი, ჰინკელი (ოვომოიელა 33), მერტესაკერი, ა. ფრიდრიხი (ვიორნსი 67), ლამი (შულცი 60), ბოროვსკი, ენგელარდტი, შვაინსტაიგერი, ასამოა, კურანი, ბრდარიჩი (პოდოლსკი 60)

**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი

**მსაჯი:** შამსულ მაიდინი (სინგაპური)

15 000 მაყურებელი

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XXIV ტური**

**იფსვიჩი 2:1 უიგანი**

0:1 ბაინსი (51), 1:1 ნეილორი (66), 2:1 დ. ბენტი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იფსვიჩი | 24 | 14 | 7 | 3 | 48:28 | 49 |
| უიგანი | 24 | 13 | 8 | 3 | 44:17 | 47 |
| სანდერლენდი | 24 | 14 | 4 | 6 | 33:18 | 46 |
| რედინგი | 24 | 13 | 5 | 6 | 33:22 | 44 |
| შეფილდი | 24 | 10 | 9 | 5 | 32:31 | 39 |
| ვესტ ჰემი | 24 | 11 | 5 | 8 | 30:27 | 38 |
| სტოკი | 24 | 10 | 7 | 7 | 18:17 | 37 |
| დერბი | 24 | 10 | 6 | 8 | 36:30 | 36 |
| მილუოლი | 24 | 10 | 6 | 8 | 25:22 | 36 |
| ქუინზ პარკი | 24 | 11 | 3 | 10 | 34:36 | 36 |
| ქრიუ | 24 | 9 | 6 | 9 | 43:43 | 33 |
| ბარნლი | 24 | 8 | 9 | 7 | 21:21 | 33 |
| ლესტერი | 24 | 7 | 11 | 6 | 27:23 | 32 |
| პრესტონი | 24 | 9 | 5 | 10 | 30:36 | 32 |
| უოტფორდი | 24 | 6 | 11 | 7 | 29:26 | 29 |
| ვულვზი | 24 | 7 | 8 | 9 | 33:33 | 29 |
| პლიმუთი | 24 | 8 | 5 | 11 | 28:33 | 29 |
| ქოვენთრი | 24 | 7 | 8 | 9 | 29:36 | 29 |
| ლიდსი | 24 | 6 | 9 | 9 | 26:25 | 27 |
| ბრაიტონი | 24 | 7 | 4 | 13 | 17:32 | 25 |
| კარდიფი | 24 | 5 | 7 | 12 | 25:33 | 22 |
| ნოტინგემი | 24 | 4 | 9 | 11 | 23:35 | 21 |
| ჯილინგემი | 24 | 6 | 3 | 15 | 22:43 | 21 |
| როტერჰემი | 24 | 1 | 9 | 14 | 16:35 | 12 |

## პორტუგალია

**თასის 1/16 ფინალი**

**ბენფიკა 4:1დ.დ.(1:1) ოლივეირენსე**

0:1 ფიდალგუ (25), 1:1 სიმაო (53პ), 2:1 სეზარ სამპაიო (97ს.კ.), 3:1 შოკოტა (112), 4:1 ჯოვანი (114)

## საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/8 ფინალი

სტრასბური 4:2 პენ (1:1) ლილი
ლე ავრი 0:1 სენტ ეტიენი
მონაკო 1:0 გენგამი
მონპელიე 1:0 პსჟ
ბასტია 0:1 ლანსი
კლერმონი 4:0 დიჟონი

# ჰალილჰოჯიჩი ისევ შეირყა



სათასო მერვედფინალი მონაკოელი ჩევანტონისთვის 15 წუთში დასრულდა

**ჩემპიონთა** ლიგიდან გავარდნის შემდეგ პსჟ-მ თითქოს გამოასწორა თამაში და ჩემპიონატში მიჯრით ორი მატჩი მოიგო, მაგრამ ლიგის თასის მერვედფინალში მეორედივიზიონელ „მონპელიესთან" დამარცხდა. შედეგად ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის სკამი ისევ შეირყა.

„მონპელიე" აშკარად სჯობდა მეტოქეს და მეტი საგოლე მომენტიც შექმნა, 67-ე წუთზე კი სტუმრებს ედუარ სისე უხეშობისთვის გაუძევეს და პარიზელები კაცნაკლულნი დარჩნენ. შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე დედაქალაქელმა სტეფან პიშომ საჯარიმოში ბურთი ხელით გააჩერა და „მონპელიეს" ფროდე მანსარმა პენალტი გამოიყენა.

კორსიკაზე „ბასტიამ" „ლანსს" უმასპინძლა დ სტუმართა მეკარე აქეთ-იქით ახტუნავა, თუმც გოლი ვერ გაიტანა. ლანსელმა ჯონ უტაკამ მატჩის მიწურულს საჯარიმოს ხაზიდან საგოლედ გაისროლა და „წითელ-ყვითლები" მეოთხედფინალში გავიდნენ.

„მონაკოსა" და „გენგამის" შეხვედრა ხავიერ ერნესტო ჩევანტონისთვის უიღბლოდ დაიწყო. ურუგვაელი ფორვარდი მეთხუთმეტე წუთზე დაშავდა და შეცვალეს, ხოლო ხავიერ სავიოლა ისვენებდა. მოჰამედ კალონმა მეორე ტაიმში ოთხი ხელსაყრელი ეპიზოდი მიაფუჩეჩა, გოლი კი ემანუელ ადებაიორმა გაიტანა. ევრას დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია, ადებაიორმა მიუსწრო და ზუსტად დაარტყა.

მეორედივიზიონელების მატჩი „კლერმონსა" და „დიჟონს" შორის უხეშობით გამოირჩა. რომენ პუაიემ მეხუთე წუთზე ანგარიში გახსნა და პირველივე ტაიმში მეორეც მიაყოლა. შესვენებამდე რვა წუთით ადრე მეტოქეთა თითო ფეხბურთელი ჩხუბისთვის გააძევეს, ათი-ათზე კი უფრო ძლიერი „კლერმონი" აღმოჩნდა და მეორე ტაიმში სტეფან სამსონმა დუბლი მიითვალა.

„სტრასბურის" დათოვლილ მოედანზე „ლილი" მეორე ტაიმის დასაწყისში ჟან მაკუნის გოლით დაწინაურდა, ალექსანდრ ფარნერუდმა კი გაათანაბრა. უგოლოდ დასრულებული დამატებითი დროის შემდეგ მასპინძლებმა პენალტები უკეთესად შეასრულეს, ლილელთაგან ტაფორომ და დერნიმ ვერ გაიტანეს.

„სენტ ეტიენი" ჩემპიონატშიც ბრწყინვალედ თამაშობს და თასზეც „ლე ავრს" დევიდ ჰელებუეის გოლით სძლია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სემაკი პარიზულ მაგიდას მიუჯდა



**პსჟ-ს** სერგეი სემაკის შეძენა სურს, რომლის ჰეთ თრიქით ცსკა-მ პარიზში ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის გუნდი დაამარცხა. რუსის თამაშით ბოსნიელი მწვრთნელი მოიხიბლა და იმედოვნებს, რომ მოსკოველები ფეხბურთელს სამი მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელევიან. ცსკა-ს პრეზიდენტი ევგენი გინერი და თავად სერგეი სემაკი საფრანგეთში მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ. „ის საკმაოდ კარგი მოთამაშეა და ჩვენ ერთი კვირის წინ უკვე ვესაუბრეთ მოსკოველებს" — განაცხადა ჰალილჰოჯიჩმა.

პარიზელებს მეკარის პრობლემაც აწუხებთ და იანვარში „ლივერპულიდან" შესაძლოა ირჟი დუდეკი გადაიყვანონ. პსჟ-ს ამჟამინდელ მეკარე ლიონელ ლეტიზის კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და მან გუნდში დარჩენა იუარა. ბოსნიელ მწვრთნელს დუდეკი საფრანგეთ-პოლონეთის მატჩზე უნახავს და მისი გადაბირება მაშინ მოუწადინებია. პოლონელის გარდა, სავარაუდო შესაძენთა ნუსხაში „ლანსის" შარლ იტანჟე, „სოშოს" ტედი რიშერი და „ნანტის" მიკაელ ლანდრო არიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იარცევი ფაქსში გაიჭედა

მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჩატარებულ გამოკითხვაში რუსეთმა სასაცილო მიზეზის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო — მოსკოვიდან გაგზავნილი ფაქსი გზაში დაიკარგა.

რუსეთის საფეხბურთო კავშირში დამნაშავეს ეძებენ. გუშინწინ კავშირის ერთ-ერთი ოთახიდან, რომლის კარსაც „ეროვნული გუნდი" აწერია, გინების ხმა გამოდიოდა. ნაკრების მწვრთნელი გეორგი იარცევი პრესმდივან ანდრეი ტარაბრინს ეჩხუბებოდა. ტექსტი დაახლოებით ასეთი იყო: „შენი საქმე ესაა — ყვიროდა იარცევი — ანკეტაზე პასუხები გავეცი და ფაქსაც მე ხომ არ გავგზავნიდი?"

ნაკრების თავკაცის ვერსია ასეთი ყოფილა — რონალდინიო, დეკო, შევჩენკო. ტარაბრინმა განაცხადა, ფიფამდე ფაქსმა ტექნიკური მიზეზის გამო ვერ მიაღწიაო. ფიფელთა სპიკერმა ანდრეას ჰერენმა აღნიშნა: „მოსკოვიდან მოსული ფურცელი აქ თვალით არავის უნახავს და შევეცდებით, გავარკვიოთ ასე რატომ მოხდა". რუსთა კაპიტან ანდრეი სმერტინისთვის კი საერთოდ არავის უკითხავს, საუკეთესო სამეულში ვის დაასახელებდიო.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ინგლისური** „საუთჰემპტონი" მზადაა, თავის წამყვან ფორვარდ ჯეიმს ბიტის 6 მილიონ გირვანქად შეელიოს. ბიტის კლუბთან კონტრაქტი 18 თვეში ეწურება და ჯერჯერობით ახალი შეთანხმების გაფორმება არ სურს. „წმინდანებმაც" სწორედ ამიტომ შეამცირეს ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი 2 მილიონით. ბიტის გადაბირების სურვილს ამჟამად „ევერტონი", „ნიუკასლი" და „ასტონ ვილა" გამოთქვამენ.

**გერმანული** „ვერდერის" ბერძენი თავდამსხმელი ანგელოს ხარისტიასი იანვარში ამსტერდამის „აიაქსს" შეუერთდება. მოლაპარაკება ორივე მხარეს შორის უკვე შედგა, მაგრამ კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. „დარწმუნებულნი ვართ, ხარისტიასი სრულფასოვნად შეცვლის „იუვენტუსში" გადაბარგებულ ზლატან იბრაჰიმოვიჩს" — ამბობს „აიაქსის" გენერალური დირექტორი არი ვან დერ მეიდენი.

**რუმინეთის** ნაკრების ნახევარმცველმა ალინ სტოიკამ ბელგიურ „ბრიუგესთან" კონტრაქტი გაწყვიტა. 25 წლის ფეხბურთელი 1996 წლიდან ბრიუსელის „ანდერლეხტში" თამაშობდა, ხოლო „ბრიუგეში" 2002 წლიდან იყო. სტოიკას წასვლის მიზეზი გუნდის ძირითადში ადგილის ვერდამკვიდრება იყო.

**ინგლისური** „ვესტ ბრომვიჩი" ვეტერანი არგენტინელით, მატიას ალმეიდათი გაძლიერდა. 31 წლის სამხრეთამერიკელი გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა. შეგახსენებთ, რომ ბოლოს იგი იტალიურ „ბრეშაში" ირიცხებოდა, მაგრამ ძირითადში ველარ ხვდებოდა. ალმეიდას სამშობლოში დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმც „ვესტ ბრომვიჩმა" აზრი შეაცვლევინა.

**სერბული** „პარტიზანის" ნახევარმცველი ვლადიმირ ივიჩი ბერძნულ აეკ-ში გადადის. 27 წლის ფეხბურთელზე ბერძნები დიდ იმედებს ამყარებენ. შეთანხმებით თავად სერბიც კმაყოფილია. კონტრაქტის პირობები კი ჯერჯერობით უცნობია.

**ფრანგული** „ბასტიას" პრეზიდენტი ლუი მურტალი ვეტერან ნახევამცველ კრისტიან კარამბუსთან აწარმოებს მოლაპარაკებას. 34 წლის კარამბუ ახლა შვეიცარიულ „სერვეტში" ბურთაობს. „ბასტიას" გარდა, კარამბუს გადაბირება მის ყოფილ კლუბ „ნანტსაც" სურს.

**პორტუგალიური** „ბეირა მარი" ჩეხეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ იოჟეფ ხოვანეცს ჩააბარეს, რომლის თანაშემწეც ბულგარეთის ნაკრების ასევე ყოფილი თავკაცი სტოიჩო მლადენოვი იქნება. ხოვანეცმა პოსტზე მანუელ კაჟუდა შეცვალა, ეს უკანასკნელი გუნდს ბოლო ოთხი წელი მოძღვრავდა.

**ინგლისური** „ბლექბერნი" იური ჯორკაეფს კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს. 36 წლის ფეხბურთელი „როვერსს" სექტემბერში თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა, მაგრამ ახლა გუნდის უფროსობა ჯორკაეფის გარჯით უკმაყოფილოა.

**იტალიური** „ფიორენტინა" იანვარში მილანის „ინტერის" არგენტინელი ფორვარდის, ხულიო კრუზის შეძენას აპირებს. გუნდის გამოცვლა ამ უკანასკნელსაც სურს, რადგან მილანელთა ძირითადში საერთოდ ველარ ხვდება. აღსანიშნავია, რომ „იების" გარდა კრუზის გადაბირებაზე „ლივერპული", „პალერმო", „მარსელი" და „პარი სენ ჟერმენიც" ფიქრობენ, თავად „ბოლნიას" ყოფილ ფორვარდს კი უფრო იტალიაში უნდა დარჩენა.

**შვედური** „ტრელებორგის" 26 წლის მცველი თომას მაგნუსონი შესაძლოა, მოსკოვის ცსკა-ში აღმოჩნდეს. ამ უკანასკნელით ცოტა ხნის წინ ბილეფელდის „არმინია" იყო დაინტერესებული, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ. ახლა კი, მაგნუსონის აგენტის თქმით, მასთან მოლაპარაკებას ცსკა-ს გარდა, კიევის „დინამოც" აწარმოებს. თავად ფეხბურთელი წინააღმდეგი არ არის, კარიერა რუსულ პრემიერლიგაში გააგრძელოს.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ინგლისი. პრემიერლიგა

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 2 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 16:00 | 3 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.3 | 4.6 | 9.5 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 18:00 | 4 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.3 | 4.6 | 9.5 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 16:00 | 5 | არსენალი-ფულემი | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 6 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 16:00 | 7 | კრ. პალასი-პორტსმუთი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 8 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 2.7 | 3.3 | 2.4 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| 18:00 | 9 | ევერტონი-სიტი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 18:30 | 10 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.4 | 3.3 | 2.7 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 21:00 | 11 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 4.7 | 3.4 | 1.7 | 1.97 | 1.24 | 1.13 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 13 | რედინგი-უოტფორდი | 1.65 | 3.3 | 4.95 | 1.1 | 1.23 | 1.98 |
| 16:00 | 14 | კარდიფი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 16:00 | 15 | ბრაიტონი-ჯილინგემი | 1.95 | 3.2 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.7 |
| 16:00 | 16 | მილუოლი-იფსვიჩი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 17 | სანდერლენდი-ლიდსი | 1.6 | 3.4 | 5.55 | 1.08 | 1.24 | 2.1 |
| 16:00 | 18 | ვესტ ჰემი-ნოტინგემი | 1.55 | 3.5 | 5.7 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 18:00 | 19 | სტოკი-პრესტონი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 18:00 | 20 | პლიმუთი-ქპრ | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |
| 18:00 | 21 | ქოვენთრი-შეფილდი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 22 | ქრიუ-ბარნლი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 23 | უიგანი-დერბი | 1.65 | 3.4 | 4.85 | 1.11 | 1.23 | 1.99 |
| 18:00 | 24 | ლესტერი-როტერჰემი | 1.5 | 3.5 | 5.7 | 1.04 | 1.18 | 2.16 |

### ინგლისი. I ლიგა

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 25 | ტრანმერი-ბარნსლი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 26 | კოლჩესტერი-ბორნმუთი | 2.6 | 3.3 | 2.35 | 1.45 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 27 | სტოკპორტი-ბრისტოლი | 3.1 | 3.2 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 18:00 | 28 | ბლეკპული-ჰალი | 3.2 | 3.2 | 2.05 | 1.6 | 1.24 | 1.24 |
| 18:00 | 29 | ჩესტერფილდი-ლუტონი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 30 | ჰარტლპული-ოლდემი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 31 | პიტერბრო-სუინდონი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 16:00 | 32 | ბრენტფორდი-ტორკი | 1.55 | 3.5 | 5.2 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 18:00 | 33 | უენსდი-უოლსოლი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 34 | ბრედფორდი-რექსემი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 35 | დონკასტერი-დონსი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 36 | ჰადერსფილდი-პორტ ვეილი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |

### ინგლისი. II ლიგა

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 37 | კიდერმინსტერი-სუონსი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 18:00 | 38 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 18:00 | 39 | მენსფილდი-კემბრიჯი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 40 | იოვილი-ჩელტენემი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 18:00 | 41 | როვერსი-ლეიტონი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 42 | გრიმსბი-მაკლსფილდი | 2.15 | 3.3 | 2.9 | 1.3 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 43 | ნოტსი-ნორთჰემპტონი | 2.7 | 3.2 | 2.3 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 18:00 | 44 | რაშდენი-ოქსფორდი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 45 | დარლინგტონი-როჩდეილი | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 18:00 | 46 | ჩესტერი-სკანთორპი | 3.2 | 3.2 | 2.05 | 1.6 | 1.24 | 1.24 |
| 18:00 | 47 | ბერი-შრიუსბერი | 1.7 | 3.3 | 4.35 | 1.12 | 1.22 | 1.87 |
| 18:00 | 48 | უიკომბი-საუთენდი | 2.05 | 3.2 | 3.1 | 1.24 | 1.23 | 1.57 |

### ინგლისი. კონფერენსი

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 49 | სტივენეიჯი-ბარნეტი | 2.75 | 3.3 | 2.2 | 1.5 | 1.22 | 1.32 |
| 16:00 | 50 | ბარტონი-ტემუორთი | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 16:00 | 51 | მორიკომბი-კარლაილი | 2.8 | 3.2 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 16:00 | 52 | ექსეტერი-ჰერეფორდი | 2.55 | 3.2 | 2.4 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 53 | ლეი-ნორთვიჩი | 2.75 | 3.2 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 54 | ალდერშოტი-ფორესტ გრინი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 18:00 | 55 | უოკინგი-ფარნბორო | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 56 | ქროული-გრეივსენდი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 18:00 | 57 | აკრინგტონი-ჰალიფაქსი | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| 18:00 | 58 | სკარბორო-იორკი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 59 | დაგ ენდ რედი-კონვი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 60 | ჰართსი-სელტიკი | 8.0 | 4.0 | 1.35 | 2.66 | 1.15 | 1.0 |

27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 61 | კილმარნოკი-დანდი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 62 | დანდი იუნ.-ჰიბერნიანი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 63 | აბერდინი-ინვერნესი | 1.65 | 3.5 | 4.4 | 1.12 | 1.2 | 1.94 |
| 18:00 | 64 | დანფერმლაინი-ლივინგსტონი | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 18:00 | 65 | რეინჯერსი-მოზერუელი | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 66 | სტ.ჯონსტონი-რეითი | 1.35 | 4.4 | 6.5 | 1.03 | 1.11 | 2.62 |
| 18:00 | 67 | ფოლკირკი-ერდრი | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 18:00 | 68 | ქუინი-კლაიდი | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| 18:00 | 69 | სტ.მირენი-ჰამილტონი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 17:00 | 70 | როსი-პარტიკი | 2.1 | 3.4 | 2.9 | 1.29 | 1.21 | 1.56 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

27 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 71 | სტრანრარი-ალოა | 1.4 | 4.1 | 5.7 | 1.04 | 1.12 | 2.38 |
| 18:00 | 72 | სტირლინგი-არბროთი | 1.5 | 3.7 | 5.3 | 1.06 | 1.16 | 2.17 |

**კროკოს საახალწლო გრაფიკი: წლევანდელი ბოლო სამუშაო დღე – 28 დეკემბერი. მუშაობა განახლდება 8 იანვარს**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 73 | დამბარტონი-ეარი | 2.65 | 3.5 | 2.15 | 1.5 | 1.18 | 1.33 |
| 18:00 | 74 | ფორფარი-ბრეჩინი | 3.4 | 3.5 | 1.8 | 1.72 | 1.17 | 1.18 |
| 18:00 | 75 | ბერიკი-მორტონი | 2.7 | 3.4 | 2.15 | 1.5 | 1.19 | 1.31 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

**27 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 76 | ქუინზ პარკი-კოუდენბითი | 2.2 | 3.4 | 2.7 | 1.33 | 1.21 | 1.5 |
| 18:00 | 77 | პიტერჰედი-ისტ სტირლინგი | 1.1 | 6.5 | 11.0 | 1.0 | 1.0 | 4.08 |
| 18:00 | 78 | სტენჰაუზმუირი-ელგინი | 2.0 | 3.4 | 3.0 | 1.25 | 1.2 | 1.59 |
| 18:00 | 79 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 2.45 | 3.4 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |

**ესპანეთი. II დივიზიონი**

**23 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 99 | პონტევედრა-ფეროლი | 3.15 | 2.6 | 2.45 | 1.42 | 1.37 | 1.26 |

**ჰოკეი. შვედეთი**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 119 | მალმიო-ლინჩიოპინგი | 2.3 | 4.2 | 1.95 | 1.48 | 1.05 | 1.33 |
| 18:00 | 120 | ფერიესტადი-მორა | 1.7 | 4.4 | 2.7 | 1.22 | 1.04 | 1.67 |
| 18:00 | 121 | ლულეო-მოდო | 2.1 | 4.2 | 2.1 | 1.39 | 1.04 | 1.39 |
| 18:00 | 122 | ბრიუნესი-ტიმრე | 2.3 | 4.2 | 2.05 | 1.48 | 1.08 | 1.37 |
| 18:00 | 123 | სიოდერტელიე-იურგორდენი | 2.15 | 4.2 | 2.2 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 18:00 | 124 | ფრიოლუნდა-ჰვ 71 | 1.45 | 4.5 | 3.6 | 1.09 | 1.03 | 2.0 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**

**23 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 126 | სპარტა-პარდუბიცე | 1.75 | 4.2 | 3.0 | 1.23 | 1.1 | 1.75 |

**25 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 127 | ზნოიმო-ლიტვინოვი | 2.0 | 4.0 | 2.5 | 1.33 | 1.11 | 1.53 |

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 128 | ვსეტინი-ვიტკოვიცე | 2.2 | 4.0 | 2.25 | 1.41 | 1.11 | 1.44 |
| 19:00 | 129 | კლადნო-სლავია | 2.2 | 4.1 | 2.25 | 1.43 | 1.11 | 1.45 |
| 19:00 | 130 | ტრჟინეცი-ლიბერეცი | 2.15 | 4.1 | 2.25 | 1.41 | 1.09 | 1.45 |
| 19:30 | 131 | კარლოვი ვარი-პლზენი | 2.25 | 4.0 | 2.3 | 1.44 | 1.13 | 1.46 |
| 19:30 | 132 | დუკლა-ზლინი | 4.0 | 4.4 | 1.45 | 2.09 | 1.06 | 1.09 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**

**23 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 138 | კოშიცე-ჟილინა | 1.4 | 3.5 | 4.0 | 1.0 | 1.03 | 1.86 |
| 19:00 | 139 | ტრენჩინი-დუბნიცა | 1.1 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.0 | 3.21 |
| 19:00 | 141 | სკალიცა-ზვოლენი | 3.2 | 3.8 | 1.6 | 1.73 | 1.06 | 1.12 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

**23 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 143 | ფრანკფურტი-ჰანოვერი | 1.3 | 4.9 | 3.2 | 1.02 | 1.03 | [illegible] |
| 21:30 | 144 | კასელი-იზერლონი | 1.8 | 4.5 | 2.6 | 1.28 | 1.06 | 1.64 |
| 21:30 | 145 | აუგსბურგი-მანჰაიმი | 2.25 | 4.3 | 2.15 | 1.47 | 1.09 | 1.43 |
| 21:30 | 146 | კიოლნი-ჰამბურგი | 1.65 | 4.3 | 3.5 | 1.19 | 1.12 | 1.92 |
| 21:30 | 147 | ინგოლშტადი-აისბარენი | 1.95 | 4.3 | 2.5 | 1.34 | 1.09 | 1.58 |
| 21:30 | 148 | დიუსელდორფი-კრეფელდი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 21:30 | 149 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1.4 | 4.3 | 4.8 | 1.05 | 1.08 | 2.26 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**23 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 162 | ლოზანა-დავოსი | 2.65 | 4.3 | 1.8 | 1.63 | 1.07 | 1.26 |
| 21:45 | 163 | რაპერსვილი-ციურიხი | 2.05 | 4.2 | 2.25 | 1.37 | 1.07 | 1.46 |
| 21:45 | 164 | ლუგანო-სერვეტი | 1.5 | 4.4 | 3.7 | 1.11 | 1.06 | 2.0 |
| 21:45 | 165 | ამბრი-კლოტენი | 1.8 | 4.2 | 2.7 | 1.25 | 1.08 | 1.64 |
| 21:45 | 166 | ბერნი-ცუგი | 1.8 | 4.2 | 2.7 | 1.25 | 1.08 | 1.64 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

CROCO BOOKMAKERS კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | |
|---|---|---|
| 16002 საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.6 | 1.9 |
| 16003 ჩელსი-ასტონ ვილა | 1.05 | 6.5 |
| 16004 მანჩესტერი-ბოლტონი | 1.05 | 6.5 |
| 16005 არსენალი-ფულემი | 1.03 | 7.2 |
| 16006 ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.8 | 1.8 |
| 16007 კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.6 | 1.9 |
| 16008 ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.9 | 1.65 |
| 16009 ევერტონი-სიტი | 1.3 | 2.7 |
| 16010 ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 16011 ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 2.85 | 1.3 |

## სხვა სახის ფსონებზს გაეცნობით ადგილზე

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13002 საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13003 ჩელსი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.7 |
| 13004 მანჩესტერი-ბოლტონი | 1.9 | 1.7 |
| 13005 არსენალი-ფულემი | 1.9 | 1.7 |
| 13006 ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13007 კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13008 ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13009 ევერტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13011 ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1.7 | 1.9 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14002 საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.8 | 2.0 |
| 14003 ჩელსი-ასტონ ვილა | 1.2 | 2.6 |
| 14004 მანჩესტერი-ბოლტონი | 1.2 | 2.6 |
| 14005 არსენალი-ფულემი | 1.15 | 2.9 |
| 14006 ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.9 | 1.9 |
| 14007 კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.8 | 2.0 |
| 14008 ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.95 | 1.85 |
| 14009 ევერტონი-სიტი | 1.7 | 2.2 |
| 14010 ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14011 ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 2.4 | 1.45 |

### ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | ლუწი | კენტი |
|---|---|---|
| 17002 საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17003 ჩელსი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.9 |
| 17004 მანჩესტერი-ბოლტონი | 1.9 | 1.9 |
| 17005 არსენალი-ფულემი | 1.9 | 1.9 |
| 17006 ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17007 კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17008 ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17009 ევერტონი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17010 ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17011 ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 2.85 | 2.0 | 3.3 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.4 | 2.9 | 7.5 | 1.0 | 1.17 | 2.09 |
| 10004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.4 | 2.9 | 7.2 | 1.0 | 1.17 | 2.06 |
| 10005 | არსენალი-ფულემი | 1.35 | 3.0 | 7.7 | 1.0 | 1.14 | 2.15 |
| 10006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 3.1 | 2.0 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 2.85 | 2.0 | 3.35 | 1.17 | 1.53 | 1.25 |
| 10008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 3.2 | 2.0 | 2.8 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10009 | ევერტონი-სიტი | 2.3 | 2.0 | 4.0 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.85 | 2.1 | 3.1 | 1.2 | 1.48 | 1.25 |
| 10011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 4.4 | 2.0 | 2.05 | 1.37 | 1.39 | 1.01 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | 2,5-ზე ნაკლები | 2,5-ზე მეტი |
|---|---|---|---|
| 12002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.9 | 1.7 |
| 12004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 2.0 | 1.6 |
| 12005 | არსენალი-ფულემი | 2.0 | 1.6 |
| 12006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 12007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | ევერტონი-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 1.9 | 1.7 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11003 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11004 | მანჩესტერი-ბოლტონი | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11005 | არსენალი-ფულემი | 1.5 | 15.0 | 35.0 | 3.5 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 10.0 | 12.0 |
| 11006 | ბლექბერნი-ნიუკასლი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11007 | კრისტალ პალასი-პორტსმუთი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11008 | ნორვიჩი-ტოტენჰემი | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11009 | ევერტონი-სიტი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.3 |
| 11010 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11011 | ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.2 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ელექტრონული ბიბლიოთეკა





# განშორების ცამეტი წელი

## გურამ აბსანძემ გადადებული პარტია მოიგო

*1991 წლის ბოლოს საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მის თანამებრძოლებს ქვეყნის დატოვება მოუხდათ. მათ შორის იყო გურამ აბსანძეც, რომელიც გადატრიალებამდე დღეებით ადრე, უფრო ზუსტად კი 22 დეკემბერს იძულებული გახდა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელი დაეტოვებინა*

დღეიდან გურამ აბსანძე კვლავ ჭადრაკის სათავეში დგას და სულ მცირე ორი წელი ამ ადგილს ვერც ვერავინ შეეცილება. გუშინ, სწორედ 22 დეკემბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ჭადრაკში მოტრიალე ხალხის უმრავლესობამ პირველკაცად იგი ირჩია.

ვარაუდი ყრილობის ნაშუადღევს დასრულების შესახებ მცდარი გამოდგა. თორმეტ საათზე დაწყებული სხდომიდან პრეზიდენტის სამადლობელ სიტყვამდე ექვს საათზე მეტი გავიდა. იმედი სეირის ყურების მსურველებსაც გაუცრუვდათ. ერთი-ორი რამდენიმეწამიანი გამონაკლისის გარდა ხმამაღალ დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა.

პირველი მინი-სკანდალი ყრილობის დაწყებამდე მოხდა, ერთ-ერთ ჩვენს კოლეგასა და მავან დელეგატს შორის, რომელმაც ყრილობაზე ჟურნალისტების დასწრებაზე კატეგორიული უარი გამოგვიცხადა, აქაოდა პრეზიდენტობის კანდიდატების სურვილია ასეთიო. ბოლოს ჟურნალისტები დარბაზში დაგვტოვეს, როგორც გვითხრეს მხოლოდ ხუთი წუთით, მაგრამ იმ დროს უფრო აქტუალური გახდა ხმის უფლების არმქონე სხვა ხალხის დარბაზიდან გაშვების საკითხი. რომ მიხვდნენ, ტკბილი სიტყვით ვერავის დაიყოლიებდნენ, დელეგატიან-ჟურნალისტიან-ცნობისმოყვარეიანად ყველა გარეთ გაუშვეს და უკან მარტო მანდატიანები დააბრუნეს (რაღა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად). ამ პროცესს ლამის ნახევარი საათი დასჭირდა მერე კი, როგორც იქნა, ყველა დაჯდა და ყრილობაც დაიწყო.

დაიწყო მოქმედი პრეზიდენტისა და ამავდროულად პრეზიდენტობის კანდიდატ კახა ჩიგოგიძის ათწუთიანი საანგარიშო მოხსენებით. აბა, შუა მოხსენებაში ვინ რას გვეტყოდა, დასრულების შემდეგ კი ხუთწუთიანი პირობა შეგვახსენეს. აქ უკვე გურამ აბსანძემ „გადაგვარჩინა“, ჟურნალისტებთან დასამალი არაფერი გვაქვსო. სხვებიც გამოგვექომაგნენ და დღის წესრიგის მეორე საკითხიც, საპრეზიდენტო არჩევნებიც ჩვენი თანდასწრებით დაიწყეს.

ოთხი კანდიდატიდან თავისი პროგრამა მხოლოდ ორმა წაიკითხა. ორმა კი კანდიდატურა მოხსნა — კახა ჩიგოგიძემ გურამ აბსანძის, ხოლო აკაკი იაშვილმა ნინო გურიელის სასარგებლოდ. მერე ორი ერთმანეთზე უკეთესი პროგრამა მოვისმინეთ და რადგან არც აბსანძესთან და არც გურიელთან კამათის მსურველი არ გამოჩენილა, კენჭისყრამდე მათი მომხრეების სამსამწუთიანი მოხსენებებილა დარჩა.

ერთი შეხედვით, აბსანძის მხარდამჭერები უფრო აქტიურობდნენ. ნონა გაფრინდაშვილმა, ნანა ალექსანდრიამ, ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ბუხუტი გურგენიძემ და სულიკო მეგრელიშვილმა დელეგატებს სწორედ აბსანძის კანდიდატურის არჩევისკენ მიანიშნეს. გურიელის მხარეს კი მაია ჩიბურდანიძე და ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ერთი ჯგუფი იდგა. იქვე ჩიბურდანიძემ გამოაცხადა, თუ ნინო მოიგებს, მე თანაპრეზიდენტი გავხდები და ქართული ჭადრაკის წინსვლისთვის ერთად ვიბრძოლებთო.

თითქოს აქაც ყველაფერი მშვიდი ენდშპილისკენ მიდიოდა, მაგრამ ნონა გაფრინდაშვილის განცხადებამ ოპონენტები გაახელა.

„ყველა არჩევნებს ახლავს დაპირისპირება და დღევანდელი დღეც ჩვეულებრივი ამბავია — თქვა გაფრინდაშვილმა — მე ჩემი მოსაზრება მაქვს და გთხოვთ, გულისყურით მომისმინოთ. ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე, როცა ნინო გურიელი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი იყო, გამგეობის სხდომაზე რამდენიმე წევრმა სერიოზული კითხვები დაუსვა. პრეზიდენტს ან უნდა ეპასუხა, ან გადამდგარიყო. მაშინვე ვუთხარი ნინოს, თუ პასუხები გაქვს, ვალდებული ხარ თანამდებობაზე დარჩე-მეთქი. იგი გადადგა. დღეს ვერავინ დამარწმუნებს რომ ეს ნაბიჯი საჭადრაკო სამყაროს ორად გახლეჩის თავიდან ასაცილებლად გააკეთა. კი ბატონო, არ უარვყოფ, რომ ენერგიულია და ორგანიზატორული ნიჭითაა დაჯილდოვებული, მაგრამ ისეთ ვითარებაში წავიდა, მხარს ვერაფრით დავუჭერ. თან მთავარი ისაა, რომ იმ ამბის შემდეგ სულ რაღაც თვეები გავიდა.“

გურიელის გადადგომამ ამის მერეც გაიჟღერა რამდენიმეჯერ. ბოლო მომხსენებელი კი მისი მეუღლე ზურაბ სტურუა იყო, რომელმაც ნონა გაფრინდაშვილს მიმართა — ჩემზე უკეთ არავინ იცის რატომ გადადგა ნინომ ის ნაბიჯი, მაგრამ ამ დღეებში ხომ ორივე მხარე შევთანხმდით, გადადგომაზე აქ არ გველაპარაკა, რახან თქვენ მაინც გაიხსენეთ, აჯობებს ამაზე ყრილობის გარეთ, ერთი-ერთზე ვისაუბროთო.

კამათი აღარ გაგრძელებულა. საარჩევნო კომისიამ დღის მთავარი საქმის შესრულება იწყო. 104 მოქმედი დელეგატიდან დარბაზში 90 აღმოჩნდა, დანარჩენი 14-დან კი 13-ს წინასწარ, წერილობით დაეფიქსირებინა თავისი აზრი.

კამათის ერთ-ერთი ბოლო მიზეზი კენჭისყრის ჩატარების წესი გახდა. აბსანძის მომხრეები ღია კენჭისყრას ითხოვდნენ, გურიელის მომხრეები კი ფარულს. გადაწყდა, კენჭი ამ საკითხისთვისაც ეყარათ, ოღონდ ფარულად და დამსწრეთ დარბაზის გათავისუფლება მოსთხოვეს.

დელეგატთა ფარული გადაწყვეტილებების დაფიქსირებასა და დათვლას საათზე მეტი დასჭირდა და 46 ხმით 44-ის წინააღმდეგ ფარული საპრეზიდენტო კენჭისყრა გადაწყდა. სავსე დარბაზი ისევ დაცალეს და ცივ ფოიეში საათნახევარიც გავატარეთ. მერე ხმის დამთვლელი კომისიის თავკაცად დანიშნულმა ემზარ ზენაიშვილმა კანდიდატებს უხმო და ბიულეტინები მათთან ერთად დათვალა.

საბოლოო შედეგი ოფიციალურად გამოცხადებამდე გაცხადდა. კარი გაიღო თუ არა, აბსანძემ თავისი გამარჯვება გაგვიმხილა. მისი გვარი 59-მა დელეგატმა შემოხაზა, გურიელისა 42-მა, ორმა კი ორივე კანდიდატს „ხაზი გადაუსვა“.

დამარცხებული პირველი მივიდა ტრიბუნასთან და გამარჯვებულს გულწრფელად მიულოცა, მერე კი პრეზიდენტის სამადლობელიც მოვისმინეთ.

გურამ აბსანძე: „დღეს სამართლიანობის აღდგენის დღეა. ცამეტი წლის წინ, ზუსტად ამ დღეს ჩემი პრეზიდენტობა უკანონოდ შეწყდა და მიხარია, თანამდებობა კანონიერად რომ დავიბრუნე. მაშინ მართლა კარგი პროგრამა მქონდა და მინდა იგი გავაგრძელო. უღრმესი მადლობა ჩემს მხარდამჭერებს. ახლა ჩემი უმთავრესი მიზანი ჭადრაკის სამყაროს გაერთიანება და წინსვლის დაწყებაა.“

ბოლოს აბსანძემ თავისი გუნდიც დაასახელა. ვიცე-პრეზიდენტებად კახა ჩიგოგიძე, ლაშა ჯანჯღავა და ზურაბ ტყებუჩავა დაინიშნა, ხოლო გენერალურ მდივნად მიხეილ კეკელიძე.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ლეგიონერები აქეთ, ლეგიონერები იქით

## ჰორიზონტზე ნაკრები გამოჩნდა

**თბილისელი** ახალგაზრდა წყალბურთელები, უნდათ თუ არა, თანატოლთა შეჯიბრებებზეც გამოდიან და უფროსთა ასპარეზობებშიც საქართველოს ნაკრების სახელითაც იბრძვიან, სადაც მეტნაკლებ წარმატებებს აღწევენ. და ასეთ ყოფაში იქნებიან მანამ, სანამ ლეგიონერთა ხარჯზე ნამდვილი ნაკრები შეიქმნება.

ბევრი ფიქრობს, რომ ლეგიონერთა დახმარებით გუნდი ოლიმპიურ ლიცენზიას მოიპოვებს, მაგრამ საამისოდ საქმე ჯერჯერობით სიტყვას არ სცილდება. თუმცა ახლა, ეტყობა, სიტყვიდან საქმეზე გადასვლას მართლაც ეშურებიან, რადგან უკრაინის ღია ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, როგორც იქნა, ლეგიონერებსაც უხმეს.

სამწუხაროდ, გუნდში გამოძახებულთაგან ნაკრებს ნახევარიც ვერ შეუერთდა. მათგან მოსკოვში მოთამაშეები ზურაბ ჭუმბურიძე და კოტე გეგელაშვილი გუნდის ხელმძღვანელობამ არ გამოუშვა, თქვენ აქ გვჭირდებითო. გუნდს ვერც გერმანიაში მოთამაშე ილია ბუტიკაშვილი შეუერთდა. აი, ბერძნებმა და თურქებმა კი თამაზ მანძულაშვილისა და გალაქტიონ ლაითაძის მიმართ კეთილი ნება გამოიჩინეს.

ყოველივე ამის გამო ნაკრების უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე იძულებული გახდა გუნდის შესავსებად თავისი თანაშემწე გიორგი მახარაძე სარბიელზე გაეყვანა. მიუხედავად დანაკლისისა, ჩვენმა გუნდმა პირველ ეტაპზე დნეპროპეტროვსკელებთან, ოდესელებთან და მარიუპოლის მეორე გუნდთან ბრძოლებში პირველობა და უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამის მერე საქართველოს წყალბურთელებმა კიევის გარეუბანბრავანში რამდენიმედღიანი შეკრება გაიარეს, იმავე შეკრებაზე კიევის დინამოელებთან რამდენიმე ერთობლივი ვარჯიშიც ჩაატარეს და უკრაინის ჩემპიონატის მეორე ეტაპიც დაიწყო. აქ მათ სძლიეს ლვოვის „დინამოსა“ და სევასტოპოლის გუნდს, კიევის დინამოელებთან კი ფრედ დაასრულეს შეხვედრა.

საინტერესოა, რომ ჩვენი წყალბურთელები კიეველებთან შეხვედრის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე 5:8 აგებდნენ, მაგრამ დარჩენილ დროში სამი უპასუხო ბურთის შეგდება შესძლეს.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს წყალბურთელები გავიდნენ მომდევნო ეტაპზე, რომელიც გაზაფხულზე გაიმართება. და თუ ჩვენ მართლაც გვსურს ნაკრების ჩამოყალიბება და წარმატებები, გაზაფხულამდე უქმად ჯდომა და თუნდაც თავგადაკლული ვარჯიში ბევრს არას გვარგებს. მანამდე საჭიროა სხვა შეჯიბრებებზე გამოსვლაც.

საქმე ისაა, რომ სხვა ნაკრებები წელიწადში 150-მდე შეხვედრას მართავენ მაშინ, როცა ჩვენებს სამჯერ ნაკლები უწევთ და ისიც ახალგაზრდულ გუნდებთან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

# თუჯი თუჯს ელის, დინამო ახალგაზრდებს

23 დეკემბერი. რუსთავი
**თუჯი VS დინამო**

*ფედერაციამ კალენდარი იმგვარად შეადგინა, რომ ყოველი ტურის ის მატჩი, რომელიც 14 საათზე იწყება, ცენტრალურია და მას საგანგებო პრესკონფერენციაც ეძღვნება. ასე იყო ამ სეზონში, თუმც დღევანდელი ტური გამონაკლისია: დღეს ორ საათზე ვერის ბაღში თსუ — „მაკაბია" დანიშნული, თუმც გაცილებით საინტერესო ჯახია მოსალოდნელი რუსთავში, სადაც ამ ბოლო ტურებში ნაყოჩაღევი „დინამო" ჩადის. რუსთაველები დანაკლისით ხვდებიან თბილისელებს: არჩილ ჟღენტი პირადული ამბის გამო მწვრთნელს ერთი კვირით დაეთხოვა, ხოლო დინამოელებს ამ სეზონში უდანაკარგოდ პირველად უწევთ თამაში.*

*თავდაპირველად რუსთაველთა თავკაც ოთარ ხმელიძეს დავეკითხნენ იმ სპორტული მოსაცმელების შესახებ, ბოლო ტურში რომ ეცვათ მისი გუნდის წევრებს...*

— „თუჯს" საკმაოდ მოხდენილი სპორტული სამოსი ეცვა ბოლო მატჩში — ახალი სპონსორი ხომ არ გამოგიჩნდათ?

— არა, ხეირიანი სპონსორი უკვე მე-14 თვეა, აღარ გვყავს. ეს სპორტული ტანისამოსი ქვემო ქართლის კალათბურთის ფედერაციამ გვაჩუქა, რომელსაც ყოფილი რუსთაველი კალათბურთელები — ილია კეჭაყმაძე, მიხეილ ბერუაშვილი და ზაზა გაბისონია თავკაცობენ. რაც შეეხება სპონსორს, როგორც იცით, საწარმო „თუჯი" გვპატრონობს, მაგრამ ეს ყურადღება თითქმის არაფერია იმასთან შედარებით, ძველ „აზოტს" რომ აქცევდნენ ადრე. ამ თოთხმეტი თვის მანძილზე ბევრი სიძნელე ვნახეთ, მაგრამ კალათბურთისთვის თავი არ დაგვინებებია. ახლა კი მგონი უნდა გვეშველოს, საწარმო „თუჯი" მალე მთელი სიმძლავრით ამუშავდება და იმედია, კალათბურთელებსაც გამოგვიწვდიან ხელს.

— ბოლო მატჩში არჩილ ჟღენტს არ უთამაშია და „დინამოსთან" თუ იქნება?

— აჩიკო „მაკაბისთან" იმიტომ არ ვათამაშე, რომ ახალგაზრდებს მივეცი თავის გამოჩენის შანსი. „დინამოსთან" აუცილებლად ითამაშებდა, მაგრამ პირადი საქმის გამო ერთი კვირით დამეთხოვა და სამწუხაროდ, ვერ დაგვეხმარება. ჟღენტისგან ჩვენ ისედაც დავალებული ვართ, ის უხელფასოდ თამაშობს და, სხვათა შორის, ერთი ვარჯიშიც არ გაუცდენია.

*ამასობაში კი „დინამოს" თავკაცის ჯერიც დადგა...*

**ზურაბ ტომარაძე:** „არჩილ ჟღენტი დიდი ძალაა რუსთაველთათვის, მაგრამ მისი არყოფნა დაარხეინების საფუძველს არ გვაძლევს. ამ თამაშის მოსაგებად ჩემს გუნდს მაქსიმალური მობილიზება მართებს, რადგან წინა ტურში ჩემპიონატის ლიდერი „ავიამშენი" დავამარცხეთ და ბევრი ჯერაც გამარჯვების ეიფორიაშია. ვაღიარებ, რომ „დინამოსია" უპირატესობა, მაგრამ რუსთავის გუნდთან ხუმრობა არ შეიძლება მისი მებრძოლი ხასიათისგან გამომდინარე.

— „დინამო" ამ ბოლო დროს კარგად კი ათამაშდა, მაგრამ კიდევ ხომ არ აპირებთ გაძლიერებას?

— ჩვენი პრიორიტეტი ახალგაზრდობაა. ჩემპიონობა თავისთავად კარგია, მაგრამ მთავარი მაინც ახალგაზრდობის მიზიდვა და გამოზრდაა. დილმის ბაზაზე კარგი პირობებია და ჩვენთან არაერთი ლეგიონერი თუ უცხოეთში გასამგზავრებლად გამზადებული კალათბურთელი ვარჯიშობს, თუმც ეს არ ნიშნავს, რომ მათ დამატებას ვაპირებთ. ჩვენ ნიჭიერ ახალგაზრდებს ვეძებთ და ასეთებისთვის „დინამოს" კარი მუდამ ღიაა.

*ადრე მსაჯებთან ხათაბალის მაძიებელ რუსთაველების თავკაცს მომავალი მატჩის არბიტრებზეც დაეკითხნენ...*

**ოთარ ხმელიძე:** მსაჯობა ალბათ კარგი იქნება და მაყურებელიც ისიამოვნებს თამაშით. „დინამო" მეტად ლამაზ, ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე ჭკვიანურ კალათბურთს თამაშობს და ჩვენც ვეცდებით, მეტოქეს ფეხი ავუწყოთ. უპირატესობა სტუმრებისაა, მაგრამ ჩვენც გვაქვს შანსი და მის გამოყენებას ვეცდებით.

**ირაკლი პერტაია**



ზურაბ ტომარაძე ოდესღაც რუსთაველებსაც წვრთნიდა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ვინმემ გააჩერეთ ეს ბავშვი!

## უზოძეთ ტიტული ლებრონ ჯეიმსს!



21 დეკემბერი

**კლიპერსი 100:91 ნიუ ორლეანი**
ძირითადი დრო 81:81
**კლიპერსი:** საიმონსი (30), ბრენდი (23 ქულა, 13 მოხსნა), ბრანსონი (18 ქულა, 10 პასი)
**ნიუ ორლეანი:** ვესლი (22), ნეილონი (21), ანდერსენი (10 ქულა, 18 მოხსნა)

**კლივლენდი 107:97 მინესოტა**
**კლივლენდი:** ჯეიმსი (26 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), ილგაუსკასი (25), მაკინისი (21)
**მინესოტა:** გარნეტი (26 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), კასელი (19), ჰადსონი (17)

**შარლოტი 91:94 ნიუ ჯერსი**
**შარლოტი:** რაში (23), სმიტი (13), ოკაფორი (10 ქულა, 11 მოხსნა)
**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (28), ბაფორდი (16), კიდი (9 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა)

**ნიუ იორკი 94:123 დალასი**
**ნიუ იორკი:** მუჰამედი (14 ქულა, 11 მოხსნა), მარბერი (12), ტ. ტომასი (12)
**დალასი:** ჰოვარდი (26 ქულა, 16 მოხსნა), ნოვიცკი (23), ფინლი (21)

**საკრამენტო 104:93 ვაშინგტონი**
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (26), ბიბი (24), ვებერი (20 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), მილერი (19)
**ვაშინგტონი:** არენასი (22), ჯემისონი (20), ჰიუზი (19)

**მაიამი 108:100 ბოსტონი**
**მაიამი:** ვეიდი (33 ქულა, 11 პასი), ჰეისლიმი (18 ქულა, 17 მოხსნა), ე. ჯონსი (17)
**ბოსტონი:** პირსი (25), ჯეფერსონი (15), პეიტონი (12)

„უძვირფასესი, უძვირფასესი!" — ეს ძახილი სადღაც ქანდარაზე, 10-დოლარიანი ადგილებიდან დაიწყო, ქვემოთ დაეშვა და მალე შეძახილებს მთელი „განდ არენა" აჰყვა. კლივლენდში იქაური „კავალიერზი" „მინესოტა ტიმბერვულვზს" მასპინძლობდა. ამ მეორე გუნდს, მოგეხსენებათ, სწორედ წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე კევინ გარნეტი ლიდერობს, თუმცალა კლივლენდელები მის მხარდასაჭერად როდი იტკივებდნენ ყელის იოგებს. ყველაზე პრესტიჟულ პირად ტიტულზე მათ თავიანთი კანდიდატი ჰყავთ — 19 წლის ვანდერბოი ლებრონ ჯეიმსი.

„ვინმემ გააჩერეთ ეს ბავშვი!" — წუთშესვენებებზე „კლივლენდის" მეტოქეთა მწვრთნელები ლამის სასოწარკვეთით და ნახევრად ყვირილით მიმართავენ თავიანთ შეგირდებს. ესენიც ზოგჯერ ახერხებენ და აჩერებენ, უფრო ხშირად კი ლებრონი მაინც აგდებს თავის ჩასაგდებს. „მინესოტასთან" ბოლო მეოთხედში მან 2-3 წუთი დაისვენა. მოედანზე რომ დაბრუნდა, მისი გუნდი თანდათან კარგავდა მატჩზე კონტროლს და ლიდერბიჭუნამ სწორედ სულზე მოუსწრო. ჯეიმსმა ჩააგდო პირითი ხაზიდან, თითქმის ექვსი მეტრიდან, შემდეგ ნახევარგარღვევით სამიოდ მეტრიდანაც იზუსტა და ამას ორი საჯარიმოც მიაყოლა. კევინ გარნეტიცა და მთელი მისი რაზმიც ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ გუშინ გამომცხვარმა ვარსკვლავმა მათ თავის გადარჩენის შანსი წართვა.

რაც შეეხება უძვირფასესობას, ჭეიმსი ამ ტიტულს ვინძლო ჯერ არც იმსახურებს, მაგრამ ამ გზაზე კი ნამდვილად დგას. ამ აზრისაა მისი მწვრთნელი პოლ საილასი: „რა გითხრათ, უძვირფასესი მოთამაშეების კანდიდატი მონსტრი უნდა იყოს, საუკეთესო საუკეთესოთა შორის. ლებრონი გადასარევად თამაშობს და უკვე ბევრს ამტკიცებს, აგდებს მნიშვნელოვან ბურთებს, როცა გუნდს ეს სჭირდება, ხსნის ბურთებს... მას შეუძლია, ბევრით გაგაკვირვოს."

ლებრონ ჯეიმსი ამ სეზონში თუ არა ოდესღაც მაინც გახდება უძვირფასესი და უპირველესი. ჩვენ კი ყოფილ უძვირფასესაც შევაწიოთ სიტყვა. ბოლო ორ წელიწადში შაკილ ონილის შედეგიანობა საშუალოდ 29-27 ქულიდან 20-მდე დაეცა, თუმც ის მაინც შიშის ზარს სცემს მეტოქე მაღლებსაც და დაბლებსაც. ასე იყო „ლეიკერსში" და ასეა „მაიამიშიც". თან დასავლელი მძიმეწონოსნების შემდეგ აღმოსავლელი მოწინააღმდეგეების გვემა შაკს საკრივო ტომრებივით ემსუბუქება და ამ 20-20 ქულის მოპოვებას არა 40, არამედ 30 წუთსაც ამყოფინებს. მისი „მაიამიც" იგებს და იგებს.

თუმც ამ ორშაბათს შაკმა „ბოსტონთან" შეხვედრა მცირე ტრავმის გამო გამოტოვა. „ჰითმა" უონილოდაც იმარჯვა, თან ზედიზედ მეცხრედ და აღმოსავლეთში ლიდერის ტახტი გაიმყარა. ლიდერობა კი შაკის საქმეში ყოფნის დროსაც გუნდის წინამძღოლმა, ლებრონ ჯეიმსის კბილა დუეინ ვეიდმა გასწია, ვინაც ბოსტონელ „კელტებს" 33 ქულა ჩაუგდო და 11 ბურთიც თანაგუნდელებს ჩააგდებინა.

**კოტე ყორშია**

# საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი

22 დეკემბერი. „ეროვნული". 3000 მაყურებელი

ფინალი

## ლელო 30:28 აკადემია

ლელო: ყიასაშვილი, ჯამრულიძე, გ. მჭედლიშვილი, ფირფილაშვილი, ქობელაშვილი; ბარკალაია, კვირიკაშვილი; სანიკიძე (კახოიძე), კობეშავიძე, სუჯაშვილი, კოპალეიშვილი, გორგოძე, ა. მჭედლიშვილი, სარდანაშვილი, ვალიშვილი

*2 ლელო: ფირფილაშვილი (2), ბარკალაია (7)*

*1 გარდასახვა: ბარკალაია*

*6 საჯარიმო: ბარკალაია*

აკადემია: ურჯუკაშვილი, ელიზბარაშვილი, პინჩუკოვი, მაჩხანელი, კაპანაძე; კიკნაძე, კობახიძე (გურგენიძე); მაჭარაშვილი (გოგინაშვილი), სანადირაძე, გელანტია, ბალახაშვილი (ქათამაძე), პაპაშვილი, ჩიკვაიძე, ცხვედიანი (მებურიშვილი), ბოლღაშვილი

*3 ლელო: პაპაშვილი (4), ცხვედიანი (26), გელანტია (67)*

*2 გარდასახვა: კიკნაძე, ურჯუკაშვილი*

*3 საჯარიმო: ურჯუკაშვილი*

*სინბინი: ბოლღაშვილი (79)*

მსაჯი: გია ჯავახიშვილი

# მაისაშვილის საზამთრო-სა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლელომ ჩემპიონატი ალალად დაალელოვ-დაასრულა



რა საერთოა საფეხბურთო „აიაქსსა" და სარაგბო „ლელოს" შორის? ცოტა უხერხული შესადარებელია. ჯერ ერთი, სად რაგბი და სად ფეხბურთი, მეორეც, სად ამსტერდამული გრანდის წონა და სად სამი-ოთხი წლის დაარსებული ქართული კლუბი.

საერთო კი ისაა, რომ „ლელოს" მორაგბეები აიაქსურად, ბავშვობიდან ერთად მოდიან, თვალდახუჭულებს ესმით ერთმანეთის და ალალია, ნაღდად ალალია ამ გუნდის გაჩემპიონება. მით უმეტეს ალალია, რომ „ლელოში" რაგბის ფანატიკოსი ბიჭები თამაშობენ და უხელფას-უპრემიოდ მოიმკეს გუშინდელი მოსავალი.

არ გეგონოთ, „აკადემიას" ამ თვისებებს ვუკარგავდეთ: პირიქით, ეს გუნდი თითქმის „ლელოს" ალიკვალია და თავისუფლად შეიძლებოდა, დღევანდელი სტატია სწორედ მათი ქებით დაგვეწყო — იომეს, ლაღადაც ითამაშეს და მოგებისგანაც მაინცდამაინც შორს არ იყვნენ...

რომ ვთქვათ, ფინალმა გაამართლაო, ეს იგივეა, რომ არაფერი ვთქვათ. გაამართლა კი არა, ქართულ კლუბებს ბოლო წლებში ამისთანა ლაზათიანი რაგბი არ უთამაშიათ — იქნებ იმიტომაც, რომ ვარკეთილის მეურნეობის სახნავსათესი მინდორის ნაცვლად შედარებით რბილგაზონიან „ეროვნულზე" იბურთავეს. მოკლედ, „მიდი მიახრჩე" არ ყოფილა და ალაგალაგ დიდი რაგბიც გაელვებდა...

ქარიშხალივით დასაწყისი იყო: „ლელოს" პირველივე შეტევისას შუამარბმა ლაშა ფირფილაშვილმა ქურციკივით გაჭრა მეტოქის დაცვის ხაზი და სწრაფი ლელო მიითვალა, თუმც ორიოდე წუთში ტანმაღალმა აკადემიელმა შალვა პაპაშვილმა თავისიანების ჯაჯგურა შეტევა ხუთქულიანით დააბოლოვა. ეგრე არ უნდაო და, ლელოელთა 10 ნომერმა ოთარ ბარკალაიამ შეცდომაზე გამოიჭირა მალხაზ ურჯუკაშვილი, კოხტად დაუფარა ბურთს და „აკადემიის" ჩათვლის ხაზში გაილაღა — უკვე სამი ლელო და 12:7 ანგარიში, თუმცა ჯერ სადა ხარ, მხოლოდ შვიდი წუთია გასული...

მერე და მერე თამაში მიწყნარდა და საჯარიმოებმა იმატა. ბარკალაიამ ამ საქმეშიც იყოჩაღა, სამი დარტყმიდან ორი გაიტანა. და მაინც, „აკადემია" კუდზე აჰდა „ლელოს" — ჯერ ურჯუკაშვილმა ზუსტად გაისროლა საჯარიმო, ტაიმის მიწურულს კი მესამეხაზელმა ბაჩო ცხვედიანმა კვლავ ჯაჯგურა ლელო გაიტანა. პაატა ნარიმანაშვილის ბიჭებმა ცეცხლი დაანთეს, რამდენიმეფაზიანი შეტევა გამართეს, მაგრამ „ლელომ" დაცვა აკლდევა და ტაიმიც აქ მორჩა — 18:15.

ერთი განსხვავება გვეცა თვალში და ეს ნამატჩევს პრესკონფერენციაზე „ლელოს" თავკაცმა ლევან მაისაშვილმაც აღნიშნა: „ლელოები" უფრო ძლიერი შერკინებით არიან ცნობილნი, თუმც გუშინ პირიქით იყო — „აკადემიამ" სამივე ხუთქულიანი მიწოლა-ზედახორაში დადო და ერთხელ მოლიც ეფექტურად აგორა.

მეორე ტაიმის შუაწელს „ლელომ" ცხრაქულიან უპირატესობას (27:18) უწია და აქ დატრიალდა დენთის სუნი: „აკადემიამ" მეტოქის ლელოს ხაზთან დერეფანი მოიგო და თენგიზ გელანტიას ლელოც გამოცხვა. ურჯუკაშვილმა გარდასახვა გამოიყენა და სამ წუთში საჯარიმოთიც იხეირა — 27:28, „აკადემია" პირველად დაწინაურდა მატჩში, თუმც ცოტა ხანში ბარკალაიას საჯარიმომ ყველაფერი ძველებურად დააბრუნა.

თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთი რჩებოდა, პაატა ნარიმანაშვილის სამწყსო ვა-ბანკზე წავიდა და ჯერ მარაოს გაშლით, მერე კი ჯიქურ სცადა სანატრელ ადგილზე შეღწევა, მაგრამ „ლელოს" მხოლოდ ერთხელ აუფანცქალდა გული — როგორია, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე მალხაზ ურჯუკაშვილი 60 მეტრიდან, მაგრამ მაინც საჯარიმოს ურტყამს — მახოს რომ გაეტანა, „აკადემია" ერთი ქულით მოიგებდა, მაგრამ...

მატჩის შემდეგ ლელოელებს გაგიჟებას არაფერი უკლდათ. ჯერ სტადიონს შემოატარეს თასი, მერე კი ლევან მაისაშვილი აჰყორცნეს ჰაერში — გუნდი, რომელიც შარშან უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადაურჩა, წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა!

**ილია ნანობაშვილი**

### ნაფინალევს

**პაატა ნარიმანაშვილი,** „აკადემიას" მწვრთნელი: „ლელომ" ღირსეულად მოიგო. ფინალს მიღმა „ყოჩები", „ლოკომოტივი" და „დათვები" დარჩნენ, რაც იმას მიანიშნებს, რომ ახალი გუნდების ტალღა წამოვიდა. ეს ყველაფერი სწორი მუშაობის და ოფლისღვრის შედეგია. ასეთი კარგი ფინალი საქართველოს ჩემპიონატში არ ყოფილა."

**ლევან მაისაშვილი,** „ლელოს" მწვრთნელი: „მაყურებელმა ისიამოვნა, დაძაბული და ლამაზი მატჩი ნახა, მაგრამ მწვრთნელებს ნერვიულობისგან ფერი აღარ გვედო სახეზე. ევროტურნირებზე გასვლა? რატომაც არა, მაგრამ ამას ფინანსები სჭირდება. მაინც, 60-70 პროცენტით მჯერა, რომ ევროპაში ვითამაშებთ."



# ევროლიგა

VIII ტური. 22 დეკემბერი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
| --- | --- |
| პროკომი 76:68 პარტიზანი | ვილერბანი 54:78 სიენა |
| ციბონა 73:58 რეალი | **C ჯგუფი** |
| კლიმამიო 94:77 ოლიმპიაკოსი | ულქერი 79:60 სკაილაინერზი |
| | პანათინაიკოსი 88:69 უნიკახა |





**საერთაშორისო** საავტომობილო ფედერაცია საგაისოდ არაერთ სიახლეს გეგმავს, რომლებიც საფორმულო გუნდების ხარჯების შესამცირებლადაა მიმართული. მათ რიცხვშია ტესტების 24 დღემდე შეზღუდვა.

საიაფო ინიციატივას პრაქტიკულად ყველა საჯინიბოს ბოსი მოწონებით შეხვდა, „ფერარის" გარდა. „წითლების" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო სიახლის კატეგორიული წინააღმდეგია: „კონკურენტებს ამ აკრძალვით სურთ, „ფერარის" უპირატესობა შეზღუდონ. სატესტე დღეების შემცირება იგივეა, რომ ფეხბურთელებს ვარჯიში აუკრძალო. თუ ჩემს გუნდს უნდა, კვირაში ხუთი დღე ივარჯიშოს, ეს ჩემი პრობლემაა, ჩემი ფულია და თუნდაც ფანჯრიდან გადავყარო, ეს მხოლოდ მე მეხება. ხარჯების შემცირების თემა, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ სავარჯიშო დღეების იძულებით შემცირებას გუნდის საშინაო საქმეებში ჩარევად ვთვლი. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ „ფერარის" თანხმობის გარეშე წესების შეცვლის ყოველგვარი ცდა უაზრობაა."

# ლუკა ფულს ფანტავს



ლუკა დი მონტეძემოლო დიდ გულზეა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# თასი ბაჰრეინს

დოჰაში, მშობლიურ კედლებში ყატარმა ბაჰრეინთან წააგო არაბეთის ყურის საფეხბურთო თასის გათამაშება. გახარებულმა ბაჰრეინელებმა თავიანთ მეფე (შუაში), უფლისწულთა სურათები და თასი ერთად გამოუფინეს ფოტოგრაფებს. მეფეს ჰამიდ ბინ ისა ალ-ხალიფა ჰქვიან და უმდიდრესი კაცია.

# მედისონის ვარსკვლავები

მოედანზე „ნიუ იორკ ნიქსია“, პირველ რიგში კი მსახიობი ეთან ჰოუკი (შუაში). თქვენა გგონიათ, ვარსკვლავები მხოლოდ „ლეიკერის“ თამაშებზე დადიან?! მათ „მედისონ სკვერ გარდენშიც“ იპოვნით.



REUTERS ფოტოები



# მომავალი შენია

ჩინეთი და ტანვარჯიში ერთმანეთს დიდი ხნის წინ შეხვდნენ და დიდებულადაც შეეწყვნენ. ეს ნორჩები პეკინის უდიდესი სპორტსკოლის, შიჩაჰაის მთელი ჩინეთიდან მოკრეფილი მოწაფენი გახლავან. ჭეშმარიტად უნდა იკითხო: სადა ხარ შენ, მომავალო ოლიმპიელო? და გიპასუხებენ — შიჩაჰაის დარბაზშიო.

# სალაღობოდ




მელბურნში, პაკისტანთან სატაფელოდ ემზადება ავსტრალიის მოკრიკეტეთა ნაკრები და ამ გარჯილობაში სალაღობო მატჩიც გაუმართავს ავსტრალიური ბურთაობის იქაურ გუნდ „სენდონთან“. ექვსი-ექვსზე თამაშში მოგებულის ამოცნობა ძნელი არ არის. მოკრიკეტეთა კაპიტან შეინ ვორნს, მობურთალი ბენ ჰეიესი სულ ციმციმ გადააფრინდა და ბურთიც ალაგს დადო.



REUTERS ფოტოები

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილასონიაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge